ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ **№20 (1808)** 31 დეკემბერი 2003

ევროკავშირის გაფართოება

რას უქადის იგი საქართველოს?

გვ. 3

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებში გაცხონ მ. სააკაშვილს

გვ. 2

კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

შეერთებული შტატები და სისხლის საერთაშორისო სასამართლო

გვ. 3

ფრთხილად! ბირთვული ბომბია

გვ. 4

ლია საუბარი დელიკატურ თემაზე

გვ. 4

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

გვ. 5

www. opentext.org.ge/sakart

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებში ბატონ მ. სააკაშვილს

ბატონო კანდიდატო!

საქართველოს სახალხო ფრონტს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ მხარი დაუჭიროს თქვენს კანდიდატურას 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებში და სხვებსაც თქვენს მხარდასაჭერად მოუწოდოს. ჩვენი გადაწყვეტილების მოტივები საჯაროდ გაცხადებულია და გამოქვეყნებულია გაზ. „საქართველოს“ 2003 წლის 19 დეკემბრის ნომერში. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით თქვენი სამოქმედო პროგრამა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. ამგვარად, არ ვიცით თქვენი პოზიცია საქართველოსათვის სასიცოცხლო ძირითად საკითხებთან მიმართებაში, რომელთაც ქვემოთ ჩამოვთვლით. თუ თქვენი აზრი ამ საკითხებზე და, შესაბამისად, თქვენი მომავალი პოლიტიკა იმგვარი იქნება, როგორიც ჩვენ შეთავსებადად მიგვაჩნია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან (რაშიც ჩვენ, პრაქტიკულად, თითქმის დარწმუნებულნი ვართ), მაშინ ჩვენ გვექნება უფლება თქვენი მხარდაჭერა გავაგრძელოთ არჩევნების შემდეგაც, სადაც თქვენ, იმედია, გაიმარჯვებთ. ამიტომ გთხოვთ საჯაროდ (რადგან ესოდენ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა არასაჯაროდ არარეალისტური იქნება) გამოთქვათ თქვენი პოზიცია ამ საკითხებზე.

ეს საკითხებია:

პირველი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს „ესენგედან“ და თავისი ტერიტორიიდან გაიყვანოს რუსეთის შეიარაღებული ძალები, ბაზებისა და „მემშვიდობეების“ ჩათვლით. ამისათვის არსებობს იურიდიული საფუძველი (იხ. საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება №125), საჭიროა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების კეთილი ნება.

მეორე. ჩვენის აზრით, ოფიციალურად უნდა გაცხადდეს (ნოტით რუსეთისადმი, მიმართვით გაეროსადმი და სხვა მისამართებზე), რომ

- აფხაზეთის 1992-93 წლების ომი იყო ქართულ-რუსული (და არა ქართულ-აფხაზური) ომი და დღეს აფხაზეთის ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

- აფხაზეთში არსებული ვითარების დარეგულირების პრობლემა არის საქართველოს შინაგანი პრობლემა. იგი საერთაშორისოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მოიცავს (ისევე, როგორც ყველა სხვა შეიარაღებული კონფლიქტის დარეგულირების პრობლემა) ადამიანის უფლებათა დაცვასთან და ომის წესთა დაცვასთან დაკავშირებულ ამოცანებს.

- აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა არის ავტოხთონური მოსახლეობა და მას არანაკლები უფლება აქვს აფხაზეთის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობისა, ვიდრე იმ მოსახლეობას, რომელიც თავისთავს „აფსუა“-ს უწოდებს, ხოლო ყველა სხვანი, ქართული ტერმინოლოგიის განმეორებით, „აფხაზს“ უწოდებენ. შესაბამისად. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არის არა მხოლოდ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნება, არამედ იგი ტოლქმედია ქართველი მოსახლეობის, აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის და ყველა სხვა კანონიერი მოსახლეობის ნებისა.

თქმულიდან გამომდინარე, სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც მთელის, სტატუსისა და აფხაზეთის შიგნით ტერიტორიული და პოლიტიკური მოწყობის იდეალურად სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი ფორმულირება და შეტანილ იქნას საქართველოს კონსტიტუციაში, რათა ყველა შემდგომი მოქმედება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის განსახორციელებლად დამყარებული იყოს ამ იურიდიულ ბაზაზე.

მესამე. ასევე უნდა გაცხადდეს, ჩვენი აზრით, რუსეთის როლი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტში. უნდა მოიხსნას ამ ტერიტორიის მიმართ უსაფუძვლო (რუსეთის მიერ გამოგონილი) სახელი „ოსეთი“, რომელიც გულისხმობს სამომავლოდ „ორი ოსეთის შეერთების“ ამოცანას. ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობა (60 ათასი სული), ისევე როგორც დანარჩენი საქართველოს ოსი მოსახლეობა (100 ათასი სული) უნდა განხილულ იქნას მხოლოდ როგორც დიასპორა (სხვა დიასპორათა მსგავსად) და მისი ჯგუფური ინტერესების რეალიზაცია, სპეციფიკური ეროვნული ინტერესების ჩათვლით, უნდა მოხდეს

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ მექანიზმთა განვითარებით

ბ) ფუნქციური (და არა ტერიტორიული) ავტონომიის მექანიზმთა შექმნითა და განვითარებით, კულტურული ავტონომიის ჩათვლით.

მეოთხე. ჩვენის აზრით, დაუშვებელია - რადგან საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის სასიკვდილოა, - საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა, რადგან მისი შემოღება გამოიწვევს ისეთ ადამიანთა ძალიან დიდი მასის გაჩენას, რომელთაც ექნებათ საქართველოს მოქალაქის ყველა უფლებები, მაგრამ ამავე დროს მართულნი, მხარდაჭერილნი და ოფიციალურად „დაცულნი“ (შეიარაღებული ძალით „დაცვის“ ჩავლით) იქნებიან საქართველოსადმი დღეს აგრესიის პოზიციაში მყოფი სახელმწიფოების მიერ.

მეხუთე. ჩვენის აზრით, დაუშვებელია საქართველოს მთლიანი ფედერალიზაცია ან ავტონომიზაცია, ანუ საქართველოს დაყოფა ისეთ ერთეულებად, რომელთაც, კონსტიტუციით, თავ-თავისი პოლიტიკური ნება,

— სახელდობრ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, მაშასადამე, საქართველოს, როგორც მთელის, ნებისაგან განსხვავებული პოლიტიკური ნება — აქვთ. საქართველოს ტერიტორიის ერთსა და იმავე წერტილში ორი ურთიერთგასამიჯნი პოლიტიკური ნების - ცენტრალურისა და ადგილობრივის - არსებობა გარდაუვლად გამოიწვევს უახლოეს-თაობებში ამ ნებათა შორის დაპირისპირების გაცნობიერებასა და გაღვივებას, ხოლო ამის შედეგად, - უახლოეს თაობებში, არა მხოლოდ საქართველოს დაშლას პროვინციებად, არამედ ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლასაც ამავე ნიშნით.

მეექვსე. ჩვენის აზრით, საქართველოში არ შეიძლება დაშვებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე.

დღეს მიწის თავისუფალ ბაზარზე არ არსებობს, ან ძალიან სუსტი კონკურენტუნარიანობით არსებობს, ქართველი და საქართველოს მოქალაქე. საქართველოში მიწის მსურველნი არიან (სხვა პოტენციურ სუბიექტთა შორის)

- რუსეთის სახელმწიფო, დღესდღეობით საქართველოსადმი აგრესიულ პოზიციაში მდგარი

- ისლამური ფუნდამენტალისტური ფონდები, რომელთაც აგრეთვე აგრესიული მიმართულება აქვთ

- სომხური ფონდები, ანალოგიური მიმართულებისა

- სხვა სახელმწიფოს ფონდები, ამავე მიმართულების

- რუსული კერძო კაპიტალი, ანალოგიური მიმართულებისა

- პოლიტიკურად ნეიტრალური სხვა უცხოელნი.

მიწის გაყიდვას უცხოელებზე მოჰყვება მისი დამუშავება უცხოელთა მიერ და, შედეგად, საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით - ეროვნებით ქართველების) ტოტალური და სამარადისო დაუსაქმებლობა, ანუ რადიკალური ეროვნული კატასტროფა.

მეშვიდე. ჩვენის აზრით, საქართველოდან და სომხეთიდან 1944 წელს გასახლებულ მუსლიმანთა შთამომავლებს არა აქვთ უფლება საქართველოში დასახლება მოითხოვონ (და, შესაბამისად, ევროსაბჭოსათვის საქართველოს პარლამენტართა მიერ მიცემული პირობა 2012 წლამდის ამ მოსახლეობის შემოყვანისა საქართველოში არის დანაშაულებრივი შეცდომა), რადგან

- 1944 წლის დეპორტაცია სსრკ-ს დანაშაულია (და არა საქართველოს სსრ-ისა) და მისი კომპენსაცია ეკუთვნის სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთს (და არა საქართველოს).

- დეპორტაცია (გასახლება) შეეხო პიროვნებებს (ოჯახებს, სოფლებს) და არა ეთნოსს (ეთნოსი „მესხეთელი თურქი“ არ არსებობს და არც არსებულა). ამიტომ კომპენსაცია ეკუთვნით მხოლოდ თვითონ დაზარალებულებს, და არა მათ შთამომავლებს გარდა მათი საკუთრების იურიდიულ მემკვიდრეებისა.

- დღეს საქართველოში შემოსახლების მსურველნი „რეპატრიაციის“ სახით არიან არა მხოლოდ საქართველოდან განსახლებულნი და მათი შთამომავალნი, არამედ სომხეთიდან იმავე 1944 წელს განსახლებულნიც.

- უცხო ნებით (ევროსაბჭოს ნებით) საქართველოში დასახლებული ადამიანები საქართველოს მადლიერნი (და, მაშასადამე, ერთგულნიც) ვერ იქნებიან.

- საქართველოს და, კერძოდ, მესხეთის რეგიონს დღეს არა აქვს მოსახლეობის დიდი მასის უკონფლიქტო მიღების შესაძლებლობა.

საქართველოს ინტერესია, საქართველოში შემოიყვანოს რაც შეიძლება მეტი პირი 1944 წელს გასახლებული ქართველი მუსლიმანების შთამომავალთა რიცხვიდან, რომელნიც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს, ცხოვრებაში ჩაერთვებიან. ამიტომ საქართველო ინდივიდუალურად შემოიყვანს და მოქალაქედ მიიღებს 1944 წელს გასახლებულ მუსლიმან ქართველთა შთამომავლებს იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ პიროვნებას, მსოფლმხედველობრივად და ფსიქოლოგიურად, ექნება საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობასა და ცხოვრებაში კონსტრუქციულად ჩართვის უნარი (მაგრამ არა სხვა შემთხვევაში).

ჩვენ ჩამოვთვალეთ სახელმწიფო პოლიტიკის მხოლოდ ისეთი სფეროები, რომლებშიც შეცდომის დაშვება საქართველოსათვის სასიკვდილოა. გთხოვთ გაგვაგებინოთ თქვენი შეხედულება ამ საკითხებზე ისეთი ფორმით, რომელიც ცალსახად დამავალდებულებელი იქნება თქვენი პოლიტიკისათვის მომავალში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის სახელით

თავმჯდომარე: /ნ. ნათაძე/

ანტისემიტიზმის ვირუსი დაუძინებელი საფრთხეა

ჟ. The Economist მოგვითხრობს, რომ 16 სექტემბერს იერუსალიმში ამერიკელი ებრაელების აქტივისტთა შეკრებაზე შარონმა თქვა „ებრაელ ხალხს ვერ გატეხენ და ჩვენი მტრები ამას მალე დაინახავენო“. მან თქვა, რომ სტამბოლის სინაგოგებთან მომხდარი აფეთქებები მსოფლიო მასშტაბის ანტიებრაული ლაშქრობის ნაწილია. მსოფლიო უფრო და უფრო საშიში ხდება ებრაელებისთვისო. რამდენიმე დღის შემდეგ იტალიაში მან თქვა, რომ დღეს ებრაელების წინააღმდეგ ორი სახის სიძულვილი მოქმედებს — ძველებური ტრადიციული, რომელიც მიმართულია ებრაელებზე, და ახლებური, რომლებიც მიმართულია ებრაელთა კოლექტივზე — იზრაელის სახელმწიფოზე. იზრაელელი მემარჯვენეების ჩვეული დებულებაა „მთელი მსოფლიო გვებრძვის ჩვენ“, ზომიერნი ფიქრობენ, რომ ადრე ებრაელი მხოლოდ მსხვერპლი იყო ანტისემიტიზმისა, დღეს კი სიახლე ის არის, რომ მას, სახელმწიფოს წყალობით, შევიწროებაზე, პასუხის გაცემაც შეუძლია, მემარცხენეები კი იმ აზრისა არიან, რომ პალესტინელთა მიმართ მიღებული ზომები, ცალკე აღებული, ვერ იკმარებდა დღეს ანტიებრაული სიძულვილის გასაღვივებლად, მისი უხილავი თესლი რომ არ იყოს დღესაც დარჩენილი მსოფლიოს მრავალ საზოგადოებაში. მათი აზრით, 1993 წელს ოსლოში მიღწეულმა ებრაულ-არაბულმა დაზავებამ მრავალი ადამიანი მოახედა იზრაელისკენ და რამდენსამე არაბულ სახელმწიფოს აღუძრა მასთან ურთიერთობის დამყარების სურვილი, მაგრამ 3 წლის წინ დაწყებულმა „ინციფალამ“ (ახალმა ტერორისტულმა შემოტევამ) წყალში გადაყარა ეს დადებითი შედეგები. აშშ-ში მყოფ ხუთმილიონიან ევროპულ დიასპორას, რომელიც სხვებზე უკეთ დაცულია და კეთილდღიანი, დღესაც მწვავედ აწუხებს, რომ ვერაფრით შეძლო ॥ მსოფლიო ომის დროს განსაცდელში ჩავარდნილი მსოფლიო ებრაელობის შველა.

მუსლიმური სიძულვილი ებრაელებისადმი დღეს კატასტროფულად გაფართოებულია და ყველა ტექნიკური საშუალებით ვრცელდება. მას „მწვანე ანტისემიტიზმად“ იხსენიებენ. იგი იდეოლოგიურად გადაჯაჭვულია ზიზღთან „დასავლური გადაგვარებისადმი (დევალანსისადმი)“ და „დასავლური უსამართლობისადმი“. მემარცხენე ანტისემიტიზმი, განსაკუთრებით ფრანგული ჟურნალის სიტყვით, კითხვის ქვეშ აყენებს თვით იზრაელის უფლებასაც კი, რომ სახელმწიფოდ იყოს.

თუმცა იზრაელში არაერთი პოლიტიკოსი არ უჭერს მხარს შარონის მკვეთრ კურსს, მსოფლიო ებრაელობის უმრავლესობაში მას, ჟურნალის სიტყვით, მყარი მხარდაჭერა აქვს.

მეგობრის მჭამელი კანიბალი

ბრალდებულმა მაივესმა (იხ. სურათი) და მისმა მომავალმა მსხვერპლმა ერთმანეთი ინტერნეტით გაიცნეს და დამეგობრდნენ. ურთიერთშეთანხმებით ერთმა მეორე დაკლა და შეჭამა „რომ თავის მეგობარი სამუდამოდ თავის შიგნით ჰყოლოდა“. ბრალდებული ამჟამად ნანობს თავის საქციელს, რადგან გრძნობს, რომ „რაღაცა ისე ვერ ქნა, როგორც ჰმართებდა“. ყველაზე დიდ გასაჭირში იურისტები არიან: მათ არ იციან, რა მუხლი მიუყენონ კაციჭამიას, რომელსაც ვერც ძალად მკვლელობას დასდებენ ბრალად და ვერც „მიცვალებულის შებღალვას“, რადგან ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა. „შპიგელი“ ამ ინციდენტის თაობაზე იმოწმებს ფილოსოფოს შტრაუსის სიტყვებს: „საზოგადოებაში, სადაც ყველა ღირებულებები კითხვის ქვეშ დგება, კანიბალიზმი მხოლოდ გემოვნების საკითხიაო.

ბრალდებული მაივესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროკავშირის გაფართოება

რას უქადის იგი საქართველოს?

ჭკვიანს და წარმატებულს — ახალ წინსვლას, მოუსაზრებელს და გაუფრთხილებელს — სიკვდილს. არ გვინდა, ეს პროგნოზი ჰაერში გამოკიდული დარჩეს. ამიტომ მოვიყვანთ ჟ. the economist-ის მსჯელობას ამ თემაზე.

დღეს მდგომარეობა ასეთია: 2004 წლის მაისში ევროკავშირს უერთდება რვა ნაკომუნისტარი ქვეყანა პლუს მალტა და კვიპროსი. გარეგნულად ყველა ზეიმობს ევროპის გაერთიანების დასრულებას. სინამდვილეში — მიუხედავად ახალი წევრი ქვეყნების რეფერენდუმებში მიღებული დიდი გამარჯვებებისა, — ყველა ესოდენ გახარებული არ არის. სახელდობრ, ცოტა არ იყოს შემღვრეული სიხარული აქვთ ძველ წევრ ქვეყნებს — ზოგს რატომ და ზოგს რატომ.

შედარებით ღარიბი წევრები — ესპანეთი, პორტუგალია

ასე ხედავს „ჰიგელი“ ხავერდოვან რევოლუციას საქართველოში.

და საბერძნეთი, — დარდობენ, რომ დიდი სუბსიდიები და რეგიონული დახმარების პროგრამები, რითაც ისინი კარგა მოზრდილ თანხებს იღებდნენ ევროკავშირისგან, ახალი წევრებისკენ გადაინაცვლებს. ყველაზე ძველები, ანუ 1957 წელს ამ კავშირის დამაარსებელი ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი — შიშობენ იმავე ფრთოსანი სიტყვების გამოყენებით, რომლებითაც მათი ცუდი წინათგრძნობები გამოიხატებოდა 1957 წლიდან დღემდე მომხდარი გაფართოებების დროს: ვაი თუ ევროკავშირის გაფართოებამ მისი გაღრმავების პროცესი, ანუ თანამშრომლობის სახეთა და ფორმათა ზრდის პროცესი შეაფერხოსო. ამიტომ ყველაზე ძველი მომხრები, ინიციატორები და ჩამფიქრებლები ამ კავშირისა — გერმანია და საფრანგეთი — ლაპარაკობენ ევროკავშირის პარალელურად კიდევ უფრო მჭიდრო ორწევროვანი კავშირის შექმნაზე (გერმანია და საფრანგეთი), რომელიც თითქმის ერთიანი სახელმწიფოს ტოლფასი იქნება. ასეთი კავშირით კონტინენტური ევროპის ეს ორი გიგანტი, ფაქტობრივად, სრულ ბატონობას აღწევს ამ კონტინენტზე, რაც სხვებს, რა თქმა უნდა, სიხარულს არ მოჰგვრის. მაგრამ ეს ლაპარაკი, ჯერჯერობით, ფასდება როგორც შეფარული მუქარა ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებისადმი, რომელთაც მსხვილ-მსხვილი პრეტენზიები და ამბიციები აქვთ ევროკონსტიტუციის პროექტის განხილვის პროცესში, დღეს რომ, მათი წყალობით, არც თუ შედეგიანად მიმდინარეობს. იმაში, რომ ეს საუბარი დღესდღეობით მხოლოდ სიტყვიერი მუქარაა, ჟურნალს ეჭვი არ ეპარება: დღესდღეობით (მაგრამ არა ხვალ და ზეგ) გერმანელები და ფრანგები არ არიან ისე გაწყობილნი, რომ თვალდახუჭულებმა მოიწადინონ გაერთიანების ისეთ ზომამდე მისვლა, როგორიცაა საერთო მოქალაქეობა ან ერთობლივი ადმინისტრაცია.

უფრო ღრმა წინააღმდეგობა იმალება იმაში, რომ 25 წევრ ქვეყანას და, მით უმეტეს, იმ 27 თუ 28 ქვეყანას, რომლებიც მომავალში შეადგენენ ევროპის კავშირს, საერთოსთან ერთად თავთავისი საკუთარი მიზნებიც და პოლიტიკის მიმართულებებიც აქვთ. იმ ძველ თხუთმეტშიც ზოგს აქვს ფინანსური კავშირი ერთმანეთში, ზოგს — არა, ზოგს აქვს ერთმანეთს შორის სავიზო საზღვარი, ზოგს (შენგენის ქვეყნებს) — არა, ზოგი არის დასავლეთის სათავდაცვო კლუბებში, ზოგი — არა. თუმცა ყველა ერიდება ისეთი გამოთქმების ხმარებას, როგორიცაა ევროკავშირის წევრი ქვეყნების „სხვადასხვა სტატუსი“, ან ევროკავშირის შიგნით სხვადასხვა გამყოფ ხაზთა მითითებას, ამ ხაზების არსებობა და მათი განვითარების პერსპექტივა ფაქტია. ოღონდ ერთი რამ დათქმულია და არ დაირღვევა: ესაა წევრ ქვეყანათა არდისკრიმინაციის და წევრ ქვეყანათა შორის შექმნილი ყველა ახალი კავშირის ღიაობის პრინციპი (ანუ ყველა ასეთ კავშირთან შეერთება შეეძლება ყველა მსურველ წევრ-ქვეყანას).

პირველი ამ პრინციპთაგანი იმას ნიშნავს, რომ ორი ან მეტი მათგანის რაიმე ახალი კავშირი ვერ შელახავს ევროკავშირის არსებულ წესებს, მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის წესს მათ შორის. მეორე კი იმას ნიშნავს, რომ რომელიმე ახალ კლუბში მყოფმა ქვეყნებმა ვერ უნდა გაუძნელონ ახალ მსურველს, თუ იგი ევროკავშირის წევრია, მასში შემოსვლა. გარდა ამისა, ახალი კავშირები უნდა შეიქმნას მხოლოდ ევროკავშირის შიგნით და არა მის გარეთ.

რედაქციისაგან: მკითხველმა იცის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ერთ-ერთი არც თუ ადვილი, მაგრამ დიდი უპირატესობების მქონე სამომავლო პერსპექტივაა. მაგრამ მან უნდა იცოდეს ისიც, რაზეც დღეს წარმოდგენა არა აქვს: ამ კავშირში ყოფნის მინუსები და საშიშროებები საქართველოსთვის, მის წევრთა უფლება-მოვალეობები, მათი ურთიერთობის ღია და წყალქვეშა მექანიზმები, მათი პოლიტიკის ნუანსები. პირველ ყოვლისა, მას გათვალისწინებული უნ-

შეერთებული შტატები და სისხლის საერთაშორისო სასამართლო

ჟურნალი the economist მოგვითხრობს, რომ ამერიკელებმა თავის მეგობარ იორდანიას მყარი პირობა დაუყენეს: თუ იორდანია ხელს არ მოაწერს შეთანხმებას, რომელიც მას აუკრძალავს ამერიკის მოქალაქის გადაცემას საერთაშორისო სისხლის სასამართლოსათვის (icc), იგი დაკარგავს იმ 100 მილიონ დოლარს, რომელიც უნდა მიიღოს ერაყისთვის პოლიციელთა გაწვრთნის საფასურად. გარდა ამისა, გაუქმდება იორდანიის მეფის მიწვევა აშშ-ში. იორდანია გაჯიუტდა და ამერიკელებმა დათმეს.

ასეთი შეთანხმება დღეს მსოფლიოს 70-მა ქვეყანამ დადო. ამ სასამართლოს უფლებაა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის — ამერიკელის) გასამართლება სამხედრო დანაშაულისთვის, გენოციდისთვის და ადამიანობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის ხელმომწერ ქვეყანათა ტერიტორიაზე. ჟურნალის სიტყვით, ამერიკის ინტერესი ამ თემისადმი და მისი ზეწოლა მეგობარ სახელმწიფოებზე, რათა ხელი მოაწერონ ამ ორმხრივ შეთანხმებებს, ძალიან მკაცრია. უარის შემთხვევაში მათ სამხედრო მშენებლობისათვის განკუთვნილი ფინანსური დახმარებაც კი უწყდებათ. ბევრმა მოაწერა ხელი, ბევრნიც ჯერჯერობით უარზე არიან.

ამერიკელები თავის პოზიციას იმით ხსნიან, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობენ ანტიამერიკულად განწყობილი ძალები და პირები, რომელნიც ეცდებიან პოლიტიკური მოტივებით წამოიწყონ საქმეები ამერიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ. ამას იზამენ, ცხადია, „არამზადა სახელმწიფოებიც“, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, მაგრამ ჟურნალის სიტყვით, ასეთი ტენდენციის აღმკვეთი არაერთი მექანიზმი არსებობს, მათ შორის ამერიკელთა ე. წ. „შეიარაღებული ძალების სტატუსის“ ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მასპინძელი ქვეყნის სასამართლოს წინაშე (ასეთი ხელშეკრულება დადებული აქვს საქართველოსაც. რედ.). ასეთი ხელშეკრულება ჯერჯერობით მხოლოდ 15 ქვეყანას აქვს დადებული.

ჟურნალი ფიქრობს, რომ ამერიკელების გააფთრებულ ზეწოლას პარტნერებზე, რათა გამორიცხოს ნებისმიერ შემთხვევაში ამერიკის მოქალაქეთა გასამართლება უცხო სასამართლოთა მიერ, თავისი საფუძველიც აქვს. რამდენადაც მსოფლიოში „ანტიამერიკანიზმის“ ხარისხი იზრდება, მოსალოდნელია დიდი რაოდენობით ტენდენციურად შექმნილი საქმეების გაჩენა. მართლაც, საერთაშორისო სისხლის სასამართლოსათვის დღესდღეობით წარდგენილი 600 საქმიდან ასზე მეტი ამერიკის მოქალაქეებს ეხება, ამასთან — ეს თავისი ხარისხით საეჭვო საქმეებია.

ჟურნალის სიტყვით, მრავალს ებადება კითხვა, ამერიკელთა ესოდენ ძლიერი შეშფოთება საერთაშორისო სისხლის სასამართლოს ამოქმედების გამო იმით ხომ არაა გამოწვეული, რომ მოსალოდნელია ამ სასამართლომ თავისი მოქმედების სფეროში შეიყვანოს „აგრესიის დანაშაულობაც“ (ანუ დანაშაული, რომელიც მდგომარეობს აგრესიის ჩადენაში), რაც შეაბრკოლებს ბუშის ადმინისტრაციის ბრძოლას „წინმსწრები დარტყმის“ ლეგალიზაციისათვის. ცოტანი ფიქრობენ, რომ ამერიკელები შეძლებენ ახალი სასამართლოს მოშლას, მაგრამ იმ აზრისა არიან, რომ ისინი შეძლებენ მის დისკრედიტაციას. სასამართლოს ერთ მაღალ თანამდებობის პირს დაუჩივლია: „მაქსიმუმი, რაც ჩვენ ამერიკელებისგან გვინდა, არის არაავთვისებიანი უგულებელყოფა. განა ეს ბევრია?“.

სტამბულის ტერაქტების შემდეგ ტურისტებს ბრიტანეთის საელჩოს გზა გადაუკეტეს ბერლინშიც.

ფრთხილად! ბირთვული ბომბია

(ამერიკელების ურთიერთობა გაეროსთან)

ამ. The Economist ანალიტიკურად და, როგორც ყოველთვის, ტაქტიანად საუბრობს დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქიზ საკითხზე — ურთიერთობაზე ერთის მხრივ გაეროს და მის უშიშროების საბჭოს შორის, რომელსაც გადაწყვეტილებათა მიღება შეუძლია, მაგრამ მის ძალით გატანას მაინცდამაინც ვერ ახერხებს, და, მეორეს მხრივ, აშშ-ს შორის, რომელსაც ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება ძალუძს, მაგრამ დღესდღეობით ყოყმანშია, სჭირდება თუ არა თავისი მოქმედებისათვის ყოველთვის გაეროს გადაწყვეტილება. დღეს გაერო ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც მსოფლიოს ერებს ერთობლივ გადაწყვეტილებათა მიღება შეუძლიათ. მაგრამ როგორია მისი ქმედუნარიანობის საზღვრები იმ შემთხვევისათვის, თუ ეს ერები ფიქრობენ, ჩვენი ინტერესები ჩვენ უკეთ ვიცითო, და მოქმედების ხაზს გაეროსგან დამოუკიდებლად ირჩევენ? რამდენად ეთანადება გაეროს დღევანდელი სტრუქტურა და წესდება, რომელიც ‖ მსოფლიო ომისაგან რეტდასხმულმა და თავზარდაცემულმა მსოფლიომ შექმნა, დღევანდელ მსოფლიოში არსებულ სიტუაციას და ამოცანებს? პირველ ყოვლისა, რამდენად მუშაობს სუვერენულ სახელმწიფოთა ხელშეუხებლობის პრინციპი — გაეროს ეს ბურჯთა ბურჯი — იმ დროს, როცა ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები მასობრივი მოსპობის იარაღით აღჭურვილი ტერორისტების შიშით კანკალებენ და, ნებისმიერ ფასად, „წინმსწრები დარტყმის“ უფლების მოპოვება ჰსურთ (თუმცა არ გააჩნიათ რაიმე პროცედურა იმის დასამტკიცებლად, რომ მოწინააღმდეგეს აქვს მათთვის დარტყმის მიყენების გეგმა, რომელსაც მათ უნდა „დაასწრონ“?

ერაყის ომში, რომლის დაწყებასაც ევროპის უდიდესი სახელმწიფოები, გარდა ინგლისისა, არ მიემხრნენ, ამერიკელებმა, როგორც იტყვიან, ბეწვის ხიდზე გაიარეს. ერთის მხრივ, მათ განაცხადეს და შეძლეს თავისი ნათქვამის სიმართლეში დაერწმუნებინათ მსოფლიოს დიდი ნაწილი, რომ ისინი ერაყში, ასე თუ ისე, გაეროს ადრინდელი რეზოლუციების თანახმად მოქმედებდნენ. მეორეს მხრივ, მათ სამომავლოდ და საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვეს ის პოზიცია, რომ მათი მთავარი სამოქმედო მოტივია მათივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები და არა გაეროს წინმავალი რეზოლუციები. მიუხედავად ამ ოსტატური დიპლომატიური ილეთისა, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მაინც განაცხადა, „მსოფლიოში ხიფათი გაიზრდება, თუკი სახელმწიფოები უგულებელყოფენ იმ ხელშეუხებლობის გარანტიებს, რასაც გაერო იძლევა, და ჩათვლიან, რომ უფლება აქვთ ცალმხრივად და წინსწრების წესით გემოიყენონ შეიარაღებული ძალაო“. ასეთმა მიდგომამ, მისი სიტყვით, შესაძლებელია გამოიწვიოს გაფართოება „ძალის ცალმხრივი და უკანონო გამოყენების პრაქტიკისა, რომელსაც ან ექნება, ან არ ექნება დამაჯერებელი გამართლება“. მეორე მხრივ, სადავო არ არის, რომ დღევანდელ პირობებში (ანუ იმ პირობებში, როცა გაერო თავის რეზოლუციებს ძალით ვერ ახორციელებს), როგორც „გაეროს ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირი“ ამბობს, ქმედითი წინმსწრები ძალისმიერი აქციის ერთადერთი ფორმა დღეს მისი ცალმხრივი ფორმაა.

კოფი ანანის აზრით, ამ შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ ისაა, რომ საქვეყნოდ მოვახდინოთ იმის ჩვენება, რომ კოლექტიური (და არა ცალმხრივი) ძალით მოქმედებაც არანაკლებ ეფექტიანია, ვიდრე ცალმხრივი. დღეს, მისი სიტყვით, გაერო გასაყარზეა თავისი არსებობის გაგრძელებასა და სიკვდილს შორის. ამ ჩიხიდან გამოსავლის საძიებლად მან შექმნა განსაკუთრებით გონიერ და გამოცდილ ადამიანთა საბჭო, რომელმაც, მისი აზრით, უნდა მონახოს გაეროს ოპტიმალური გზა, რათა თავისი ფუნქციაც შეასრულოს და ამერიკელებიც არ გარიყოს.

გაეროს დღევანდელი ქარტია დასაშვებად თვლის ძალის გამოყენების მხოლოდ ორ შემთხვევაში: თავდაცვის აუცილებლობის შემთხვევაში (პუნქტი 51) და იმ შემთხვევაში, თუ გაეროს უშიშროების საბჭო „გადაწყვეტს, რა ზომები უნდა იქნას მიღებული საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა ან აღდგენისათვის“. ეს უკანასკნელი პუნქტი ის ერთადერთი ტექსტია გაეროს ქარტიაში, რომელიც შესაძლებელია უშვებდეს წინმსწრები დარტყმის გამოყენებას.

წინმსწრები დარტყმის ცნება არ არის ახალი. იგი პირველად გამოიყენა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მამამ ჰუგო გროციუსმა 1625 წელს. შემდეგში მან მოიცვა ისეთი ვითარებაც, როცა დარტყმის საფუძველია მოწინააღმდეგის განზრახვა, რომ დაგვარტყას, და არა მისი მცდელობა. მაგრამ აღიარებულია, რომ „არ უნდა ვიმოქმედოთ გაურკვეველი და სადავო ეჭვის საფუძველზე, რათა თვითონ არ გავხდეთ აგრესორები“. 1837 წელს, როცა ამერიკულ ხომალდს, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად ტყვია-წამალს ზიდავდა, ინგლისელებმა დაარტყეს ამერიკის ტერიტორიულ წყლებში, წინმსწრები დარტყმის მარეგულირებელ ნორმებს დაემატა რიგი განსაზღვრებები, მათ შორის ის, რომ ამ დარტყმის აუცილებლობა უნდა იყოს „იმწამიერი“ და არ, უნდა იყოს შესაძლებელი არც ერთი სხვა საშუალების გამოყენება, გარდა ამ დარტყმისა. გარდა ამისა, მტრის განზრახვა უნდა დასტურდებოდეს ცხადი ნივთიმტკიცებით და უნდა ხდებოდეს მხოლოდ საშიშროებისათვის შესაბამისი (და არა მეტი) ძალებით. უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე მუშაობს უწყვეტი ტენდენცია წინმსწრები დარტყმის გამამართლებელ სიტუაციათა ჩამონათვლის გაფართოებისა (უცხოეთში მაცხოვრებელ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის მოტივის ჩათვლით), რაც არსებითად ეწინააღმდეგება გაეროს ამოსავალ ქარტიას. იზრაელის ომებში არაბებთან გამოყენებული იყო პუნქტი 51. მას ახსენებდნენ (მაგრამ არ გამოუყენებიათ იურიდიულად) ამერიკულ-ერაყული ომების დროს. ასე რომ, ჟურნალის აზრით, „წინმსწრები დარტყმის“ დღევანდელი ამერიკული იდეოლოგია გასაკვირს არაფერს შეიცავს. მასობრივი განადგურების იარაღის მქონე ტერორისტს სხვაგვარად ვერ შეაჩერებ. ამერიკის ეროვნული უშიშროების დოქტრინაში წერია, რომ ამ ქვეყნის ძალები საკმარისი უნდა იყოს, „რათა პოტენციური მოწინააღმდეგე გადაარწმუნოს და შეაკავოს ისეთი შეიარაღებული ძალის მშენებლობისაგან, რომელიც აღემატება ან უთანასწორდება შეერთებული შტატებისას“. ჟურნალის სიტყვით, ეს არის ახალი რეალობა, რომელსაც გაერომ, უნდა თუ არ უნდა, შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს.

მაგრამ, ჟურნალის სიტყვით, მსოფლიოს არ ჰსურს ისეთი წესრიგი, სადაც ერთი ძალა წყვეტს, როდის მოხდეს და როდის ვერ მოხდეს ერთმხრივი წინმსწრები დარტყმა. საჭიროა წინასწარ შეთანხმებული წესები გადაწყვეტილების მიღებისა და ლეგიტიმური ინსტიტუტი, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს მიიღებს. მიუხედავად ამერიკელების ღრმა რწმენისა, რომ მათი აღმატებული ძალა თავისთავად არის მსოფლიოში წესრიგის დაცვის ფაქტორი, ერთიც და მეორეც აუცილებელია. ერთი გამოსავალი შეთავაზებულია ამერიკელების მიერვე: ეს არის „ლიბერალურ დემოკრატიათა კოალიციის“ შექმნა, რომელიც, დანარჩენ ქვეყნების უკითხავად, თავისთავზე აიღებს გაეროს ძირითად ფუნქციებს. დღეს აქტიურად მიდის მსჯელობა უშიშროების საბჭოს გარდაქმნის შესახებ. არგუმენტია, მაგალითად, „რატომ უნდა იყოს მუდმივ წევრად და ვეტოს უფლების მქონედ რუსეთი, რომელსაც ჰოლანდიაზე ნაკლები ბიუჯეტი აქვს, მაგრამ არა იაპონია, რომელიც დღეს მსოფლიოს მეორე ეკონომიაა?“. წინადადება ასეთია: ხუთ მუდმივ წევრს (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი), რომელთაც ვეტოს უფლება აქვთ, დაემატოს კიდევ ხუთი ვეტოს უფლების გარეშე (ვთქვათ: ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია, გერმანია და რომელიმე აფრიკული ქვეყანა), ხოლო დროებით წევრთა რიცხვი (10) ოთხით გადიდდეს. არის ვეტოს უფლების გაუქმების წინადადებაც, მაგრამ ეს არ მოეწონება აშშ-ს, ხოლო ამ უკანასკნელის გაგულგრილება გაეროსადმი შეკვეცავს ამ უკანასკნელის ქმედუნარიანობას.

ჟურნალის საბოლოო აზრი ისაა, რომ გაეროს და შეერთებულ შტატებს ერთმანეთი სჭირდებათ. გაერო ვერ შეეწინააღმდეგება ამერიკელებს „წინმსწრები დარტყმის“ მეტნაკლებად ღია დაშვების საკითხში, ამერიკელები კი ვერ აირჩევენ „რკინის შეჯავშნული წესების“ მოთხოვნის და ამით მსოფლიო სიმპათიაზე ხელის აღების გზას.

ბირთვული იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა ზეგანვითარებული დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და არც თუ გარანტირებულად წარმატებული საზრუნავია. დასავლეთი აკავებს ამ პროცესს, მაგრამ არც მისი შეჩერება, არც მისი უსასრულოდ გაჩერება არ ძალუძს. დღეს დღის წესრიგში ჩრდილოეთ კორეა და ირანი არიან. ამ ორში კორეას — უკანასკნელ უმინარევოდ კომუნისტურ რეჟიმს მსოფლიოში — თავისი ბირთვული ამბიციები დაუფარავად ან თითქმის დაუფარავად გამოაქვს დღის სინათლეზე, ირანი კი ფრთხილობს, მაგრამ წინსვლას თავისთვის სასურველი მიმართულებით, ნელი ტემპით, მაინც განაგრძობს.

ბრიტანული ?? the economist-ის აზრით, ამ ორთა შესაკავებლად დღემდე გამოყენებულმა ხერხებმა სასურველი შედეგი, ჯერჯერობით, ვერ მოიტანა. ყველანი — ანუ ისინიც, ვინც იწონებს დღემდე პრაქტიკაში მიღებულ სისტემას „გაერო იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ მათ ცხოვრებაში ვერ ატარებს. ამას თავს იდებენ შეერთებული შტატები“, და ისინიც ვინც მას იწუნებენ, — შეთანხმებულნი არიან იმის თაობაზე, რომ მიზნის მისაღწევად რაღაცა ახალი გზა (გზები) უნდა მოინახოს.

ჩრდ. კორეა აცხადებს, ბომბი უკვე მაქვსო და ეს ბომბი „ფიზიკური შემაკავებელია“ ჩემს წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა მტრული ქმედებებისთვისო. ხუთთა მოლაპარაკებამ მასთან (აშშ, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, რუსეთი, იაპონია) ჯერჯერობით ნაყოფი ვერ მოიტანა. უფრო მეტიც: სრული ჩავარდნისაგან ეს მოლაპარაკება დაიცვა მხოლოდ ჩინეთის ძლიერმა ფაქტორმა, რის შედეგადაც შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ჩრდ. კორეა ეძებს ბირთვული იარაღის მიღების ახალ გზასაც, რომელიც დამყარებულია არა პლუტონიუმის გამოყენებაზე, არამედ ურანის გამდიდრებაზე. ჩრდ. კორეამ, ამგვარად, გადაფხრიწა ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. სამაგიეროდ ყველა სხვანი ახლა უჭერენ მხარს ამერიკელთა მოთხოვნას, რომ კორეამ ბირთვულ იარაღზე ხელი აიღოს.

ჟურნალი ფიქრობს, რომ პერსპექტივა საკმაოდ პესიმისტურია. ჩრდ. კორეას შეიძლება ფეხი ვერ მოაცვლევინონ მის მიერ დაკავებული ჯიუტი პოზიციიდან, ხოლო მისი ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ დარაზმული ფრონტი (იხ. ზემოთ) შეიძლება დაიშალოს კიდეც. ვინაიდან ძნელია კონტროლის ქმედითაობა საშუალებათა გამონახვა ესოდენ ცბიერი და სახიფათო რეჟიმის მოქმედებისათვის, თავიანთ ელჩთა წინააღმდეგ სანქციების შემოღების განზრახვა და რუსეთის თანადგომით ჩაშალა საკითხის განხილვაც უშიშროების საბჭოში.

ირანში საქმე ცოტა უკეთესადაა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინსპექტორთა ყნოსვამ და ირანელ ოპოზიციონერთაგან გამოჟონილმა ინფორმაციამ შეძლო ირანის ხელისუფალთა მრავალწლიანი სიცრუის მხილება, რომელნიც თავის ბირთვულ საქმიანობას მალავდნენ, მეორეც, იმიტომ, რომ ირანი თანახმაა ინსპექტორებთან თანამშრომლობისა და არ კამათობს იმაზე, რომ უშიშროების საბჭოსათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება არჩევანის საგანი კი არ უნდა იყოს, არამედ მოვალეობა. ამიტომ, ჟურნალის აზრით, რაიმე სანქციების შემოღება ირანის საწინააღმდეგოდ საჭირო არ არის. მაგრამ იგი ფიქრობს, ამავე დროს, რომ ოპტიმიზმისთვის დიდი საფუძველი არ არსებობს: ირანი, ჯერჯერობით, პირველ ყოვლისა იმაზე ზრუნავს, რომ იარაღის წარმოების ტექნიკას კარგად დაეუფლოს, ხოლო შემდეგ, როცა ჩათვლის, რომ ამ მხრივ უკვე მომზადებულია, იგი ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამას დაადგა, და ღიად შეუდგება მის განხორციელებას.

ღია საუბარი დელიკატურ თემაზე

ბუში და მისი მეულლე ჰხვდებიან ვეტერანებს სახაზო ხოველდ „მაისურიზე“.

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი აშშ შეიარაღებული ძალები 1990-იან წლებში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცივი ომის დასრულების, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეამცირა თავისი სამხედრო ხარჯები, შეიარაღებული ძალების რიცხოვნება და შეიარაღება. ყოველივე ეს შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ საკითხის უფრო დეტალურად განხილვის შედეგად ვნახავთ, რომ ეს შემცირებები ნაკარნახევი იყო ძირითადად სწორედ ევროპაში მსხვილმასშტაბიანი ომის საწარმოებლად განკუთვნილი ძალებისა და საშუალებების ხარჯზე, ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონებში ამერიკული გავლენის გავრცელებისა და გაძლიერების ძალები (სახელდობრ, საავიამზიდო ფლოტი და საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსი) პენტაგონის ხელმძღვანელობას პრაქტიკულად არ შეუმცირებია.

სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიური გამოცემის Military Balance-ის მონაცემებით, 1990 წელს აშშ სამხედრო ხარჯები შეადგენდა დაახლოებით 304,1 მლრდ დოლარს, 1996 წელში იგი შეამცირეს 266,0 მლრდ-მდე, ხოლო 1999-ში — კვლავ გაზარდეს 275,5 მლრდ დოლარამდე. ვნახოთ, როგორ აისახა სამხედრო ხარჯების ეს შემცირება ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე.

მოსახლეობა	შბ-ის კომპონენტები	შეიარაღებული ძალები	სახმელეთო ჯარები	საჰაერო ძალები	საზღვაო ძალები	საზღვაო ქვეითთა კორპუსი
2000 წელი						
250 348 800	რეგულარული ჯარები	2 096 600	731 700	517 400	584 800	195 700
	ეროვნული გვარდია	583 500	446700	116 800	–	–
	რეზერვი	1 138 200	654 300	157 200	240 200	86 500
	სულ	3 751 300	1 832 700	791 400	825 000	282 200
2000 წელი						
275 636 000	რეგულარული ჯარები	1 365 800	471 700	353 600	370 700	169 800
	ეროვნული გვარდია	456 600	350 000	106 600	–	–
	რეზერვი	725 100	378 200	73 700	178 200	95 000
	სულ	2 547 500	1 199900	533 900	548 800	264 800

პირველ ცხრილში ნაჩვენებია აშშ მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების რიცხოვნება 1991 და 2000 წლებში. ყველა შემთხვევაში შეიარაღებული ძალების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი სახეობაა სახმელეთო ჯარები (შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობის დაახლოებით 48%), შემდეგ საზღვაო ძალები და საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსი (31%) და ბოლოს საჰაერო ძალები (21%). ამავე დროს მზადმყოფი რეზერვის კომპონენტები (ეროვნული გვარდია და რეზერვი) ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია სწორედ სახმელეთო ჯარებში (არმიის მთელი პირადი შემადგენლობის დაახლოებით 61%), ვინაიდან იგი შედარებით ნაკლებადაა გაჯერებული რთულად ასათვისებელი სამხედრო ტექნიკითა და რადიოელექტრონული აპარატურით. შესაბამისად არმიაში არსებული მთელი რიგი სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობების ასათვისებლად აუცილებელი არ არის რეგულარული გარემოსთვის დამახასიათებელი ყოველდღიური სამხედრო მომზადება (შაბათ-კვირის გარდა) და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადაყვანილია კვირაში მხოლოდ ცხრასაათიან სამხედრო მომზადებაზე (ეროვნული გვარდიისა და არმიის რეზერვის ქვედანაყოფებსა და ნაწილებში). საჰაერო ძალებსა და საზღვაო ძალებში კი პირიქით, რთული სამხედრო ტექნიკითა და ძნელადასათვისებელი რადიოელექტრონული აპარატურით გაჯერებულობის გამო, იქ პირადი შემადგენლობის უმცირესობა (შესაბამისად 66 და 69%) შეყვანილია რეგულარულ ჯარებში. იგივე ითქმის საზღვაო ქვეით ჯარზეც, სადაც მართალია ფეხოსნის სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობის ასათვისებლად ამერიკული განზომილებებით ყოველდღიური სამხედრო მომზადება საჭირო არ არის, მაგრამ თავად შეიარაღებული ძალების ეს სახეობა ამერიკულ სარდლობას განკუთვნილი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ვითარების არასასურველად წარმართვის შემთხვევაში იქ იარაღის ძალით საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამიტომ საზღვაო ფეხოსანთა კორპუსის პირადი შემადგენლობის დაახლოებით 66% შეყვანილია რეგულარულ კომპონენტში.

აშშ სახმელეთო ჯარების ძირითადი შეიარაღება 1991 და 2000 წლებში ნაჩვენებია მე-2 ცხრილში, საიდანაც ვხედავთ, რომ არმიის სარდლობამ 1990-იან წლებში თითქმის ასჯერ შეამცირა საბრძოლო ტანკების რაოდენობა, მაგრამ ეს განახორციელა უკვე მოძველებული M-48 და M-60 სერიების ტანკების შეიარაღებიდან მოხსნის ხარჯზე, ხოლო თანამედროვე M-11 და M1A2 „აბრამსი“ ტანკების რაოდენობა 7036-დან 7900 ერთეულამდე გაზარდა. მანვე გაზარდა ქვეითთა საბრძოლო მანქანების M-2 „ბრედლი“ და საბრძოლო-სადაზვერვო მანქანების M-3 „ბრედლი“ საერთო რაოდენობაც (6710 ერთეულამდე).

წელი	საბრძოლო ტანკები	ქვეითთა თაბრძოლო მანქანები	ჯავშან ტრანს-ტიორები	საველე არტილ-ია	ტანკსაწინ. სარაკ. კომპლ-ები	საზენიტ საშუალ.	ვერტ. (მათ შორის დამრტყმელი)
1991	15 585	5524	26 480	8830-ზე მეტი	18 300	1520-ზე მეტი	8458 (1653)
2000	7900	6710	15 200	6074	29 018	1370-ზე მეტი	5039 (1502)

1991 წელს ჯავშანტრანსპორტირების საერთო რაოდენობაში M-113 A-11 ტიპის მანქანები შეადგენენ სულ 12 200 ერთეულს, ხოლო მათ გარდა ამ კატეგორიაში შეყვანილი იყო არასაბრძოლო დანიშნულების მანქანებიც (4805 ერთეული სამეთაურო-საშტაბო მანქანა M-577 და სხვები). 2000 წელს კი ჯავშანტრანსპორტირების გრაფაში შეყვანილი იყო მხოლოდ M-113 A1/A2 ტიპის მანქანები, რომელთა საერთო რაოდენობაც აშშ არმიის სარდლობამ გაზარდა 15200 ერთეულამდე, M-213 და M-113 A1/A2 ტიპების მანქანები შეადგენენ მოჯავშნული საბრძოლო მანქანების კატეგორიას, რომელთა საერთო რაოდენობაც ამერიკელებმა 1990-იან წლებში გაზარდეს 18424-დან 21910 ერთეულამდე (მართალია M-113 ჯავშანტრანსპორტირების ერთ ნაწილს საბრძოლო უზრუნველყოფის მიმართულებით იყენებენ). ამის საპირისპიროდ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჯავშანსატანკო ტექნიკამ უკვე მოჭამა თავისი დრო და თანამედროვე ეტაპზე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით გაჯერებული ქვეითი ჯარისათვის საბრძოლო ტანკები და მოჯავშნული საბრძოლო მანქანები დიდ საშიშროებას უკვე აღარ წარმოადგენენ. მაგრამ თანამედროვე მიწისზედა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების სროლის მაქსიმალური სიშორეა ექვსი-რვა კილომეტრი და მათ წინაღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს საველე არტილერია (სროლის სიშორით 30-40 კმ) და საარმიო ავიაცია, კერძოდ კი მისი დამრტყმელი და ზოგადი დანიშნულების ვერტმფრენები.

ამერიკულმა სარდლობამ 1990-იან წლებში საველე არტილერიაც შეამცირა. მან შეიარაღებიდან მოხსნა მოძველებული 105-მმ (M-101) და 155-მმ (M-114) ბუქსირებადი ჰაუბიცები და ნაწილობრივ ჩაანაცვლა ისინი თანამედროვე ნიმუშებით (M-119 და M198), მთლიანად მოხსნა შეიარაღებიდან 1029 ერთეული 203,2-მმ ჰაუბიცა M110- A1/A2 და მათი ფუნქციები დააკისრა 227-მმ ზალპური ცეცხლის რეაქციულ სისტემებს MLRS, რომელთა რაოდენობაც 426-დან 1075 ერთეულამდე გაზარდა. თანაც თითოეულ MLRS, დანადგარს ერთი ზალპით შეუძლია 32-45 კმ სიშორეზე 12 227-მმ უმართავი რაკეტის გაშვება და ამით მისი ცეცხლი მ-110 სერიის 12 ჰაუბიცისგან შემდგარი საარტილერიო დივიზიონის ცეცხლის თანაზომადია. ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ პენტაგონის ხელმძღვანელობას მიწისზედა ჯარებისთვის საერთო საარტილერიო მხარდაჭერის აღმოჩენის ძალები და საშუალებები პრაქტიკულად არ შეუმცირებია. გარდა ამისა, სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით შესაძლებელია MLRS დანადგარიდან ATACMS-ის ტიპის ორი მართვადი რაკეტის გაშვება, რომელთა სროლის სიშორე, რაკეტის მოდიფიკაციის მიხედვით, შეადგენს 190 და 500 კმ-ს. ამერიკულმა სარდლობამ 2,9-ჯერ შეამცირა აგრეთვე 100 მმ-ზე მეტი ყალიბის ნაღმსატყორცნების რაოდენობაც, რომლებიც 81 მმ ნაღმსატყორცნებთან ერთად მოქმედი ქვედანაყოფების ცეცხლით მხარდაჭერის ამოცანებს წყვეტენ. 2000 წელს აშშ სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში იყო სულ 1591 ბუქსირებადი და 2512 თვითმავალი ჰაუბიცა, 1075 ზალპური ცეცხლის რეაქციული სისტემა MLRS და 896 ერთეული 120-მმ ნაღმსატყორცნი, სულ 6074 საველე საარტილერიო სისტემა პლუს 345 ერთეული 81 მმ საასეულო ნაღმსატყორცნი.

წელი	დივიზიების ტიპები							სულ დივიზიები
	ჯავშან-სატანკო	მექანიზებული ქვეითი	საშუალო	ქვეითი	მსუბუქი ქვეითი	საჰაერო სადესანტო	საჰაერო საიერიშო	
1991	5	8	–	6	5	1	1	26
2000	5	6	2	–	3	1	1	18

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირთან შედარებით, იმავე 1990-იან წლებში რუსეთის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში საბრძოლო ტანკების რაოდენობა შემცირებულია 54400-დან 21820 ერთეულამდე, ქვეითთა საბრძოლო მანქანების — 28 000-დან 14700 ერთეულამდე, ჯავშანტრანსპორტირების — 50 000-ზე მეტიდან 11275 ერთეულამდე და საველე საარტილერიო სისტემების — 64200-დან 20750 ერთეულამდე.

ზემოთ ცხრილში აშშ არმიის საზენიტო შეიარაღების მაჩვენებელი, დიდად ჩამოუვარდება რეალურს, ვინაიდან იქ არ არის მითითებული „სინგერის“ ტიპის გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების თუნდაც მიახლოებითი რაოდენობა, რომელთა საერთო რიცხვიც მეტად შთამბეჭდავი უნდა იყოს. აშშ საარმიო ავიაციის შეიარაღებიდან 1990-იან წლებში მოხსნეს მოძველებული ნიმუშის ვერტმფრენები, 2400 ერთეული UH-1 „იროქეზი“ (რომელთაგან დაახლოებით ათი მანქანა საქართველოსაც გადმოსცეს) და 706 სადაზვერვო OH-6 და OH-58 „კაიოვა“. სამაგიეროდ AH აღნიშვნის მქონე დამრტყმელი ვერტმფრენები პრაქტიკულად უმნიშვნელოდ შეამცირა.

რაც შეეხება აშშ არმიის საარტილერიო შემადგენლობას, 1991 წელს მის [illegible] სარეზერვო კომპონენტებში ნაჩვენები იყო 26 საბრძოლო დივიზია (16 რეგულარულ ჯარებს და ათიც ეროვნულ გვარდიაში), 51 ცალკეული ბრიგადა, აგერთვე სხვა ჯარები, მათ შორის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა „ლანსების“ შვიდი დივიზიონი, საშუალო და დიდ სიმაღლეებზე მფრენ საჰაერო მიზნებთან ბრძოლის საზენიტო სარაკეტო კომპლექსების „პეტრიოტი“ და „გაუმჯობესებული ჰოქი“ 21 დივიზიონი, 42 საველე საარტილერიო დივიზიონი და სხვა.

2000 წელს აშშ სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში ნაჩვენები იყო უკვე 18 დივიზია, 48 ცალკეული ბრიგადა და დიდი რაოდენობით ცალკეული ბატალიონები და დივიზიონები. თანაც ცივი ომის პერიოდში რეგულარული ჯარების შემადგენლობაში შედიოდა იმ გვარეობის ჯარების შენაერთები და ნაწილები, რომლებიც უფრო მეტად იყო გაჯერებული რთული საბრძოლო ტექნიკითა და რადიოელექტრონული აპარატურით (ჯავშანსატანკო, მექანიზებული ქვეითი დივიზიები, ჯავშანსაკავალერიო პოლკები, საარმიო ავიაციისა და საველე არტილერიის ბრიგადები, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების „ლანსების“, აგრეთვე საზენიტო სარაკეტო კომპლექსების „პეტრიოტი“ და „გაუმჯობესებული ჰოქი“ ცალკეული დივიზიონები), ან კიდევ მსუბუქი ქვეითი, საჰაერო-სადესანტო, საჰაერო-საიერიშო დივიზიები, სპეციალურ ოპერაციათა ძალების ჯგუფები (ბრიგადები), „რეინჯერების“ პოლკი, სადაც სათანადო კვალიფიკაციის მისაღწევად ყოველდღიური სამხედრო მომზადება იყო აუცილებელი. ამის საპირისპიროდ, ეროვნულ გვარდიაში შედიოდა უპირატესად ქვეითი დივიზიები, რომელთა პირადი შემადგენლობის კვირაში ოთხსაათიანი მომზადება და საზაფხულო საბანაკო შეკრებები ამერიკის კონტინენტის ოკეანეებით იზოლირებულობისა და მის ტერიტორიაზე შესაძლო მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების მოულოდნელი შეჭრის მუქარის არარსებობის გამო ამერიკულ სარდლობას საკმარისად მიაჩნდა. აქვე იყო შეყვანილი ცალკეული ჯავშანსატანკო, მექანიზებული, ქვეითი და მსუბუქი ქვეითი ბრიგადების, აგრეთვე საველე არტილერიის ბრიგადების უმეტესი ნაწილი (20 საბრძოლო და 18 საარტილერიო ბრიგადა).

2000 წელს ევროპაში სარაკეტო-ბირთვული ომის გაჩაღების საშიშროების შემცირების კვალდაკვალ ამერიკულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ ჯავშანსატანკო და მექანიზებული დივიზიების მეტი რაოდენობა გადაიყვანა ეროვნული გვარდიის ჯარებში (მზადმყოფ რეზერვში). ამასთანავე, როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, 1990-იანი წლების განმავლობაში აშშ არმიის სარდლობამ მთლიანად გააუქმა ქვეითი დივიზიები, რომელთაგან თითოეულში შედიოდა თითო-თითო სატანკო, მოტოქვეითი და რვა ქვეითი საბრძოლო ბატალიონი, აგრეთვე საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის ერთეულები. სამაგიეროდ სულ უმნიშვნელოდ შეამცირა ე.წ. „მძიმე“ (ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვეითი) დივიზიების რიცხვი, რომლებშიც უპირატესად შედიან სატანკო და მოტოქვეითი საბრძოლო ბატალიონები, აგრეთვე უზრუნველყოფის ნაწილები და ქვედანაყოფები. გარდა ამისა, არმიის ხელმძღვანელობამ დააარსა ე.წ. „საშუალო“ დივიზიები, რომლებსაც შუალედური მდგომარეობა უკავიათ „მძიმე“ და ქვეით დივიზიებს შორის, ანუ სატანკო ბატალიონების რაოდენობა აქ ნაკლებია ჯავშანსატანკო და მექანიზებულ დივიზიებთან შედარებით, ხოლო მოჯავშნული საბრძოლო მანქანების რაოდენობა კი მეტია ქვეით დივიზიებთან შედარებით, ანუ აშშ არმიის ხელმძღვანელობა 1990-იან წლებში წავიდა ჯავშანსატანკო ბირთვის რამდენადმე შემცირებისა და მექანიზებული მოტო-

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

ამ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი აშშ შეიარაღებული ძალები 1990-იან წლებში

მეხუთე გვერდიდან

ქვეითი, აგრეთვე მოტორიზებული ჯარების ზრდის მიმართულებით. ამის საპირისპიროდ იგივე ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები „ვერ ამჩნევენ“, რომ ეუთო-ს ეგიდით 1990-

წელი	ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავების სერიები							
	F-4	F-15	F-16	F-111	F-117	A-7	A-10	OA-10
1991	982*	1042	1656	332	55	305	550	–
2000	218	720	1804	260	53	–	238	109

** მათ შორის 162 სადაზვერვო თვითმფრინავები RF-4C და 81 რადიოლოკაციასაწინააღმდეგო F-4G.*

და 1992 წლებში საქართველოსთვის 220 საბრძოლო ტანკისა და 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის, აგრეთვე 285 საველე საარტილერიო სისტემის კვოტა 2,5-5-ჯერ ნაკლებია ხუთ მილიონიანი სახელმწიფოსათვის. აუცილებელი შეიარაღების რაოდენობაზე და დაჟინებით გვირჩევენ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ქვეითი და სამთოქვეითი ჯარების ჩამოყალიბებით, ისიც სასაცილოდ უმნიშვნელო რაოდენობით (სხვა შემთხვევაში აუცილებლად დადგება ჩვენი ქვეყნისთვის დადგენილი ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე არტილერიის კვოტების გადასინჯვის საკითხი).

აშშ საჰაერო ძალებში 1990-იან წლებში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების რაოდენობა შეამცირეს 1000-დან 550 ერთეულამდე (500 „მინიუმენ-3“ და 50 MX „ფისქიფერი“), ხოლო სტრატეგიული ბომბდამშენი თვითმფრინავებისა — 305-დან 208 ერთეულამდე (94 B-52H, 93B-1B და 21B-2A). ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავების ჯამური რაოდენობა იმავე ათწლეულში შეამცირეს დაახლოებით 4900-დან 3530 ერთეულამდე, ხოლო უფრო დეტალურად, თვითმფრინავების სერიების მიხედვით, მათი რაოდენობა ნაჩვენებია მე-4 ცხრილში.

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, აშშ საჰაერო ძალების სარდლობამ 1990-იან წლებში შეამცირა მოძველებული F-4 „ფანტომების“, F-111 გამანადგურებელ-ბომბდამშენებისა და მოიერიშე და A-7 „კორსარი“ და A-10 „თანდერბოლთი“ თვითმფრინავები, აგრეთვე A-15 „იგლი“ მძიმე ავიაგამანადგურებლები, რომლებსაც ცივი ომის პერიოდში საჰაერო ბრძოლები უნდა ეწარმოებიათ ვარშავის პაქტის საბრძოლო თვითმფრინავებთან. სამაგიეროდ გაზარდეს F-16 „ფაიტინგ ფალინის“ სერიის მსუბუქი გამანადგურებლების რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ჰაერში უპირატესობისთვის ბრძოლა, ისე მიწისზედა და საზღვაო მიზნებზე სარაკეტო და საბომბე დარტყმების მიყენებაც. უნდა ითქვას, რომ F-16 C/D ტიპის თვითმფრინავებს ამერიკული ლიცენზიით 1980-იან იწლების ბოლოდან აწარმოებენ თურქებიც, და 2000 წელს თურქეთის საჰაერო ძალების შემადგენლობაში ნაჩვენები იყო ამ ტიპის 240 საბრძოლო თვითმფრინავი.

უნდა ითქვას, რომ იმავე 1990-იან წლებში რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ თავისი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები შეამცირა 1388-დან 776 ერთეულამდე, სტრატეგიული ბომდამშენი თვითმფრინავები — 177-დან 74 ერთეულამდე, შორეული ავიაციის მძიმე ბომდამშენები — 410-დან 158 ერთეულამდე (და მათგან 92 Ty-22m/mp მანქანა მარაგშია).

ტაქტიკური ავიაციის საბრძოლო თვითმფრინავები (საჰაერო თავდაცვის ჯარების გამანადაგურებელი თვითმფრინავების ჩათვლით), კი 7215-დან 1590 ერთეულამდე (მათგან 575 ტაქტიკური ბომდამშენი Cy-24 და მოიერიშე სუ-25), 880 გამანადგურებელი Cy-27, МИГ-29 და МИГ-31 და 135 სადაზვერვო МИГ-25 და სუ-24).

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავების მიხედვით საბჭოთა კავშირი 1990-იანი წლების დასაწყისში რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა აშშ-ს, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ამერიკული ავიამზიდების საგემბანო ავიაციასა და საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსის საბრძოლო ავიაციას, მაშინ ვნახავთ, რომ ეს სხვაობა მაინცდამაინც დიდი არ ყოფილა.

აშშ საზღვაო ძალებში 1880-იან წლებში სტრატეგიული წყალქვეშა ნავები შეამცირეს 34-დან 18 ერთეულამდე, ხოლო მათში განლაგებული ბალისტიკური რაკეტები — 640-დან 432-მდე („ოჰაიოს“ ტიპის 18 სტრატეგიული წყალქვეშა ნავი 240 „თრაიდენთ“ D-5 და 192 „თრაიდენთ“ C-4 ბალისტიკური რაკეტით), ტაქტიკური ატომური წყალქვეშა ნავებისა — 86-დან 55 ერთეულამდე (ყველა მათგანს შეუძლია „თომაჰოქის“ ტიპის ფრთოსანი

წელი	მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდები					საბრძოლო თვითმფრინ.	შეიარაღებული ვერტმფრენები
	ავიამზიდ.	სახაზო ხომალდები	კრეისერ	საესკადრო ნაღმოსნები	ფრეგატერი		
1991	13	4	48	62	119	1669	416
2000*	15	2	27	52	44	1456**	543**

** 2000 წელს ნაჩვენები ხომალდებიდან ერთი ავიამზიდი და რვა ფრეგატი შეყვანილია ფლოტის რეზერვში, ხოლო კიდევ ორი ავიამზიდი, ორი სახაზო ხომალდი და ერთი ფრეგატი — დაკონსერვებულია.*

მათგან 402 საბრძოლო თვითმფრინავი და 188 შეიარაღებული ვერტმფრენი საზღვაო ქვეითი ჯარის ავიაციაში.

— 211-დან 43 ერთეულამდე, კრეისერები — 38-დან 7 ხომალდამდე, საესკადრო ნაღმოსნები — 29-დან 17-მდე და ფრეგატები — 146-დან 10 ათამდე. სახმელეთო ბაზირების საზღვაო ავიაციის საბრძოლო თვითმფრინავები რუსულმა სარდლობამ შეამცირა 1354-დან 244 ერთეულამდე, ხოლო შეირააღებული ვერტმფრენები — 312-დან 107-მდე. ამ ფონზე აშშ საბრძოლო ხომალდებისა და საზღვაო ავიაციის საფრენი აპარატების შემცირებები არც თუ ისე შთამბეჭდავად მოჩანს.

აშშ-საზღვაო ქვეითი ჯარი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიამზიდ ხომალდებთან ერთად წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აშშ ინტერესების იარაღის ძალით გატარებისა და დაცვის ინსტრუმენტს. იგი უპირატესად მიმართულია მესამე მსოფლიოს ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთაც არ გააჩნიათ ძლიერი და კარგად აღჭურვილი შეიარაღებული ძალები აშშ საზღვაო ქვეითი ჯარისთვის სათანადო წინააღმდეგობის გასაწევად. ტრადიციული ევროპული არმიების წინააღმდეგ კი ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარის საექსპედიციო შენაერთები და ნაწილები ისეთ დიდ ძალას არ წარმოადგენენ. ცივი ომის პერიოდში რუსეთს გავლენა ჰქონდა როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებზე, ისე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, მაგრამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო ეს გავლენები და იქ ანტიდასავლური პოლიტიკის წარმოება მკვეთრად შემცირდა.

ასეთ პირობებში, ბუნებრივი იყო გვევარაუდა, რომ ევროპულ ომის თეატრზე სამოქმედოდ განკუთვნილი ძალებისა და საშუალებების შემცირების მსგავსად აშშ სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა შეემცირებია მესამე მსოფლიოს ქვეყნების წინააღმდეგ სამოქმედოდ გამიზნული „სწრაფი გაშლის ძალებიც“ და საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსიც. მაგრამ ეს უკანასკნელი პრაქტიკულად ისეთივე შემადგენლობით დატოვეს. მასში, როგორც 1991 ისე 2000 წლებში, ნაჩვენები იყო ოთხი საექსპედიციო დივიზია (სამი რეგულარულ ჯარებში და ერთიც რეზერვში), აგრეთვე უზრუნველყოფის ჯარები, სამი რეგულარული და ერთი სარეზერვო საავიაციო ფრთა. მათი ძირითადი შეიარაღება ნაჩვენებია მე-6 ცხრილში. აქ 1991 წლის 760 საბრძოლო ტანკიდან მხოლოდ 44 იყო M1 „აბრამსი“ სერიის, დანარჩენი M-10 სერისი ტანკებს წარმოადგენენ, რომელთა საბაზო მოდელიც შეიარაღებაში მიაწოდეს ჯერ კიდევ 1960-იან წლებში. დღესდღეობით ყველა 403 ტანკი M1A1 „აბრამსი“ ტიპისაა და რაოდენობრივ შემცირებასთან ერთად სახეზეა აშკარა ხარისხობრივი გაუმჯობესება. ამის შედეგად თუმცა კი შემცირდა სატანკო ბატალიონების რაოდენობა, მაგრამ მთლიანად აშშ საზღვაო ფეხოსანთა კორპუსის ჯავშანსატანკო ჯარების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა დიდად არ უნდა დაქვეითებულიყო. საველე არტილერია შეამცირეს 240-მდე თვითმავალი ჰაუბიცის M109 და M110 შეიარაღებიდან მოხსნის ხარჯზე, საბრძოლო ავიაციაში კი თვითმფრინავების საერთო შემცირების ფონზე რამდენადმე გაზარდეს თანამედროვე F/A-18 გამანადგურებელ-ბომბდამშენების რიცხვი (სულ შეიარაღებაშია 248 თვითმფრინავი F/A-18A/B/C/D მოდიფიკაციებით). 188 ერთეულამდე გაზარდეს დამრტყმელი ვერტმფრენების რიცხვი, რომლის ფარეხსაც მთლიანად შეადგენენ AN-1 „სუპერ კობრას“ ტიპის მანქანები. AN-1 „კობრას“ სერიის წინა მოდელებისგან განსხვავებით მის საშტატო შეიარაღებაში სხვა სისტემებთან ერთად შედის ნახევრადაქტიური ლაზერული თვითდამნიშნების თავაკის მქონე ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები „ჰელფაისი“ (ქართულად ნიშნავს „ჯოჯოხეთურ ცეცხლს“), რომელსაც უფრო მაღალი სიზუსტე და ჯავშანგამტანობა გააჩნია, თუმცა კი საჭიროებს სხვა ვერტმფრენებიდან ან დედამიწიდან მიზნების ლაზერული სხივით შენათებას.

წელი	მსხვილი სადესანტო ხომალდები	საბრძოლო ტანკები	სადესანტო საიერიშო მანქანები	ჯავშანტრანსპორტერები	საველე არტილერია	საბრძოლო თვითმფრინავები	დამრტყმელი ვერტმფრენები
1991	68	760	761	1328	1110	523	122
2000	61	403	734	1321	927	402	188

საზღვაო ქვეითთა კორპუსის დანიშნულებათა ჩამოთვლისას ჯერ კიდევ 1980-იან წლებში აშშ სამხედრო სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტი საბჭოთა კავშირიდან შესაძლოა მოხდეს არა პირდაპირი გზით ცენტრალურ ევროპაში ან შორეულ აღმოსავლეთში, არამედ „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებში რეგიონული კონფლიქტების ესკალაციის შედეგად. ასეთ შემთხვევაში აშშ ინტერესების გასატარებლად განვითარებად ქვეყნებში უნდა გამოეყენებიათ ნებისმიერი საშუალებები — ტერორისტული აქტებიდან (ხაზი ჩვენია — ი.ხ) მსხვილმასშტაბიან შეიარაღებულ ჩარევამდე. და ამ ოპერაციებში აშშ „ცენტრალური დაზვერვის“ აგენტურისა და სპეციალური დივერსიული ჯგუფების გარდა ვარაუდობდნენ ე.წ. „სწრაფი გაშლის ძალების“ და საზღვაო ქვეითი ჯარის გამოყენებას.

ნიშანდობლივია, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ „სწრაფი გაშლის ძალების“ ჩამოყალიბებისას პოლიტიკური კვლევების ვაშინგტონის ინსტიტუტის თანამშრომელი კლაური წერდა: „დამრტყმელი (იგულისხმება სწრაფი გაშლის — ი.ხ) ძალები განკუთვნილია უცხო სახელმწიფოთა ფარგლებში შესაჭრელად ან მათი ოკუპირებისთვის იქ პოლიტიკური პოზიციის შეცვლის შემთხვევაში. მას შესაძლოა იყენებდნენ ძალის დემონსტრირებისათვისაც მტრული სახელმწიფოების დაშინების მიზნით“. იგივე შეიძლება ითქვას საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსზეც, რომელიც პენტაგონის ხელმძღვანელობამ 1990-იან წლებში შეიარაღებული ძალების საერთო შემცირებების ფონზე პრაქტიკულად უცვლელად დატოვა. ცხადია, ამას აშშ ადმინისტრაციის მხრიდან თავისი დიდმპყრობელური მიზნებიც გააჩნია.

დასასრულს ორიოდე სიტყვით შევეხოთ სამხედრო-ფინანსურ საკითხებსაც. როგორც ცნობილია, ცივი ომის პერიოდში მსხვილმასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება იყო ნატოს ბლოკსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის და ეს ორი სამხედრო ალიანსი თავის ჯარებს ამზადებდა სხვადასხვანაირი მასშტაბისა და ინტენსივობის ომების საწარმოებლად თვით საყოველთაო სარაკეტო-ბირთვული ომის ჩათვლით. მაგრამ თანამედროვე ომის წარმოებისთვის აუცილებელია დიდძალი ფული. ამიტომ საინტერესო იქნებოდა გვენახა, თუ რა ფინანსური სახსრები გააჩნდათ თითოეული ბლოკის სახელმწიფოებს. 1990 წელს ნატოს ბლოკის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამი შეადგენდა დაახლოებით 12,2 ტრილიონ ამერიკულ დოლარს, სამხედრო ხარჯებისა — 479,8 მლრდ დოლარს. ვარშავის პაქტის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამი იყო 2,5 ტრილიონი ამერიკული დოლარი, სამხედრო ხარჯებისა — 237,3 მლნ დოლარი.

როგორც ვხედავთ, ნატოს ბლოკის სახ-

Table 4 US National Defense Budget Function and other selected budget, 1992, 1995-2005

FY	BA	Outlay	BA	Outlay	Outlay	Outlay	Outlay	Outlay	Outlay
1992	295.1	302.3	282.1	286.9	10.6	7.5	33.9	1.129.3	(340.5)
1995	266.3	273.6	255.7	259.4	11.8	5.3	37.8	1.227.2	(226.4)
1996	266.0	266.0	254.4	253.2	11.6	4.6	36.9	1.259.7	(174.1)
1997	270.3	271.7	258.0	258.3	11.3	4.6	39.3	1.290.7	(103.4)
1998	271.3	270.2	258.5	256.1	11.3	5.1	41.8	1.336.0	(30.0)
1999	292.1	275.5	278.4	261.4	12.4	5.5	43.2	1.382.3	0.7
2000	293.3	291.2	279.9	277.5	11.9	5.4	46.7	1.460.6	18.9
2001R	305.5	292.1	291.1	277.5	12.5	6.7	46.4	1.494.8	8.6
2002P	309.2	299.2	294.8	284.3	12.9	6.5	49.1	1.545.2	1.2
2003P	315.6	308.2	300.9	293.0	13.1	6.5	50.9	1.602.9	0.3
2004P	323.4	317.2	308.3	301.9	13.4	6.1	52.6	1.669.1	0.3
2005P	331.7	331.4	316.4	315.8	13.6	6.2	56.2	1.740.5	1.8

ელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამური სიდიდე 4,3-ჯერ აღემატებოდა ვარშავის პაქტის სახელმწიფოთა ანალოგიურ მაჩვენებელს. მაშინ განა რეალური იქნებოდა ასეთი ყოვლად უთანასწორო დაპირისპირება? უკანასკნელ წლებში გამოჩნდა გამოკვლევები, რომლებშიც ევროპელი ავტორები ცივი ომის პერიოდში ორი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის დაპირისპირებას მიიჩნევენ მსოფლიო პოლიტიკის კულისებს მიღმა ძალების მიერ გათამაშებულ სპექტაკლად შემდგომში გლობალიზაციის პროცესების წარმართვისა და მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გერმანელი ავტორის იან ვან ჰელზინგის მიერ 1993 წელს გამოცემული წიგნი „საიდუმლო საზოგადოებები და მათი ძლიერება XX საუკუნეში", რომელიც შემდეგ ითარგმნა რუსულად და 2001 წელში — ქართულადაც.

გარდა ამისა, სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2000 წელს გამოცემულ ცნობარში The Military Balance 2000-2001 ნაჩვენებია აშშ სამხედრო ხარჯების ცხრილი 1992-2005 საფინანსო წლებში. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ამ ცხრილის ქსეროასლი, რომელშიც 2001 წლის მაჩვენებელს მიწერილი აქვს შენიშვნა R (reguest — შეკვეთილი), ხოლო 2002-2005 წლების მაჩვენებლებს — შენიშვნა P (projiction — პროექტით გათვალისწინებული). მასში ნათლად ჩანს, რომ ამერიკულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე 1990 წელს დაგეგმა მომდევნო ექვს წელიწადში ქვეყნის სამხედრო ხარჯების გაზრდა 275,5-დან 331,4 მლრდ დოლარამდე, რაც 26 მლრდ-ით აღემატება ცივი ომის პერიოდის, ანუ საყოველთაო სარაკეტო-ბირთვული ომისთვის აშშ შეიარაღებული ძალების მზადების ყველაზე უფრო მეტ წლიურ სამხედრო ხარჯებს (დაახლობეით 305 მლრდ ამერიკული დოლარი).

დღესდღეობით პენტაგონი უკვე ღიად აცხადებს, რომ აშშ აწარმოებს გლობალურ (იგვიე მსოფლიო) ომს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ანუ ოფიციალურ განცხადებებსა და დოკუმენტებში ამერიკელი სახელმწიფო მოხელეები და სხვა პასუხისმგებელი პირები უკვე ღიად აფიქსირებენ მესამე მსოფლიო ომის მოახლოებას.

ჩვენი გაზეთის 2002 წლის დეკემბრის ნომრებში (№15 და 16) გამოვაქვეყნეთ ინტერვიუ მამა თეოდორე გიგნაძესთან, რომელმაც ბრძანა, რომ რუსეთში ფსკოვო-პეჩორის მონასტერთან მცხოვრები მამა ვასილის (შვეცის) სახლში ხატებიდან და ჯვრებიდან ასეულობით ლიტრი მირონისა და სურნელოვანი წყლის დენას თავად მამა ვასილი (90 წლის ასაკის მაღალი სულიერების მქონე მოძღვარი, რომლის მოძღვრებიც თავის დროზე იყვნენ თანამედროვე რუსული ეკლესიის ორი მნათობი მამა სერაფიმე ვირიცკელი და სვიმონ პეჩორელი) ამას დაბეჯითებით ხსნის რუსეთისთვის ისეთი დიდი ომის მიახლოების წინასწარმაუწყებლად, რომ ფსკოვო-პეჩორის მონასტრის მახლობლად მცხოვრები ადამიანები კარტოფილისა და ვაშლის ნაფცქვენებს უკვე აღარ ყრიან, არამედ რეცხავენ, აშრობენ და მარაგში ინახავენ მოსალოდნელი ძნელბედობის ჟამს თავის გასატანად. თანაც, როგორც მამა თეოდორემ ინტერვიუში ბრძანა, რუსებს თავიანთი ქვეყნის ოთხივე საზღვარი ჩაბარებული აქვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატისთვის, მათ შორის სამხედრო საზღვარი — ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისთვის, რომელსაც დიდ პატივს მიაგებენ და მამა ვასილის სახლში ხატებიდან მირონდენა თავიდან იწყებოდა სწორედ ივერიის ღვთისმშობლის ხატზე თვალებიდან ჩამოდენილი ცრემლების სახით, შემდეგ ხატი მთლიანად მირონით იცვარებოდა და მერე სხვა ხატებიც იწყებდნენ მირონისა და სურნელოვანი წყლის დენას. როგორც ვიცით, თავად მამა ვასილის ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ შესაძლოა, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტირილი მირონის ცრემლებით მოასწავებდეს რუსეთისთვის იმ დიდი ომის დაწყებას სწორედ სამხრეთის მიმართულებიდან, შეიძლება ამიერკავკასიიდანაც.

ირაკლი ხართიშვილი

„ხორცის გარეშე ადამიანი ვერ გაძლებს" — ეს აზრი აბსოლუტურად მცდარია

ვნახეთ, რაოდენ მავნე პროდუქტი ყოფილა ხორცი („საქართველო", 2.XII.2003). მკითხველმა შეიძლება იკითხოს: „შეიძლება ხორცის მიღება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მართლაც ზიანის მომტანი იყოს, მაგრამ როგორ არ უნდა შევჭამოთ მაინც ხორცი, როცა გვსმენია:

1. დღე-ღამეში ადამიანისათვის აუცილებელია მიიღოს 120 გ ცილა, 50 გ ცხიმი და 500 გ ნახშირწყალი" — ეს აზრი მცდარია!

დასაბუთება: 120 გ ცილა არის ან 600 გ ხორცში ან 20 ცალ კვერცხში ან 3 კგ კომბოსტოში, ან 6 კგ ვაშლში, ან ცილის ამ რაოდენობის მისაღებად საჭიროა დავლიოთ 4 ლ რძე. ალბათ, დამეთანხმებით, რომ 1 დღეში არავინ არ ჭამს ასეთი რაოდენობის პროდუქტებს, ე. ი. გამოდის, ვერ ღებულობს მისთვის საჭირო 120 გ ცილას, მაგრამ მშვენივრად ცხოვრობს.

2. „ხორცის სახით ცილები რომ არ მიიღოს ბავშვის ორგანიზმმა, მაშინ მისი ფიზიკური განვითარება შეფერხდება და თვით ბავშვი სუსტი იქნება" — ეს აზრი მცდარია!

დასაბუთება: როცა ჩვენ საკვების სახით ვღებულობთ ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს, ცხადია, მათი სახით ვიღებთ ენერგიასაც, რომელიც საჭიროა ახალი უჯრედების წარმოსაქმნელად, სასიცოცხლო ფუნქციების შესასრულებლად და ა. შ. ეს ენერგია კი საიდან უნდა მოვიდეს? ცხადია, მიღებული საკვები პროდუქტების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) დაშლის შედეგად უნდა გამოთავისუფლდეს. პროდუქტების დაშლაზე კი ორგანიზმმა თავის მხრივ საკუთარი ენერგია უნდა დახარჯოს. დადგენილია, რომ ცილები ჯერ უნდა გარდაიქმნან ნახშირწყლად, ნახშირწყალი კი თავის მხრივ დაიშალოს ნახშირორჟანგად და წყლად და ამ დროს გამოთავისუფლდეს ის ენერგია, რომელსაც ორგანიზმი მოიხმარს.

ე. ი. რა გამოდის? როცა ჩვენ ბავშვებს ხორცს ვაძლევთ, ვითომც ენერგიის ყველაზე

მდიდარ წყაროს, ბავშვის ორგანიზმმა უნდა დახარჯოს ენერგია, რომ ის ჯერ ნახშირწყლად გადააქციოს, შემდეგ კი მეორეჯერ ეს ნახშირწყალიც უნდა დაშალოს. თუ ბავშვის ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი ენერგიის წყარო ნახშირწყალია, განა არ ჯობია ბავშვმა ეს ნახშირწყალი მიიღოს პირდაპირ თაფლის, ტკბილი ხილის, ბოსტნეულის სახით — ვიდრე ის ცილის (ხორცის) გადამუშავების შედეგად?

დედებს უხარიათ, როცა დაანაყრებენ ნოყიერი ხორციანი კერძებით, ბავშვებს ძილი ერევათ და დედების აზრით ბავშვები ისვენებენ. სინამდვილეში კი ხორციანი საკვების შემდეგ ძილის მოთხოვნილება იმის გამო წარმოიშობა, რომ ორგანიზმი (მით უფრო ბავშვების) ხარჯავს დიდ ძალებს ამ ხორცის გადასამუშავებლად და მას უბრალოდ არაქათი ეცლება. არც ხორცი, არც ბულიონი, არც კვერცხი ბავშვებს არ უნდა მიეცეს 7-8 წლამდე. ამ ასაკის ბავშვის ორგანიზმს ჯერ არ გაჩნია ის ძალები, რომ გაანეიტრალოს ის ტოქსინები, რომლებიც ამ პროდუქტების მოხმარების შედეგად წარმოიქმნება. ასე რომ, თუ თქვენს ბავშვს ძალზე უყვარს ხილი, ბოსტნეული და ხორცს არ ეკარება, ნუ დააძალებთ — ამით მხოლოდ ზიანს მოუტანთ მას. საინტერესოა იმის ცოდნაც, რომ დედის რძეში გასაოცრად მცირე რაოდენობითაა ცილები, მაგრამ დედის რძით ბავშვი უფრო ამტანი, სწრაფმზარდი, ჯანმრთელი ხდება. ცილები რომ ბავშვისათვის აუცილებელი ყოფილიყო, განა არ იქნებოდა იგი დედის რძეში დიდი რაოდენობით?

3. „ხორცი რომ არ შევჭამოთ, მაშინ ორგანიზმი ვერ მიიღებს ე. წ. შეუცვლელ ამინომჟავებს, რომლებიც მხოლოდ ხორცში მოიპოვება" — ეს აზრი მცდარია!

დასაბუთება: ადამიანის ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ცილაა. ცილები თავის მხრივ ამინომჟავებისაგან შედგება. ე. ი. ორგანიზმის ძირითადი „სამშენებლო მასალა" ამინომჟავებია. ადამიანის ორგანიზმის ცილები 20 ამინომჟავას შეიცავს. ითვლება, რომ ამ 20-დან 11 ამინომჟავა ადამიანმა მხოლოდ საკვების გზით (ძირითადად ხორცის ცილების სახით) უნდა მიიღოს, რადგან მისი წარმოქმნა-სინთეზი ადამიანის ორგანიზმს თითქოს არ შეუძლია. აკადემიკოს უგოლევის გამოკვლევებმა ეს შეხედულება მთლიანად უარყო. აღმოჩნდა, რომ მსხვილ ნაწლავში მობინადრე მიკროორგანიზმები, თუ მათ არ მოვაკლებთ მცენარეულ საკვებს, თვითონ გამოიმუშავებენ ამ ე. წ. „შეუცვლელ ამინომჟავებს". მსხვილ ნაწლავში ასეთი სასარგებლო ბაქტერიები, მიკრობები ტრილიონობითაა, საერთოდ რა აუცილებელია გარედან ცილების მიღება ხორცის სახით, როცა ყველანაირი ცილებით მდიდარი მიკროფლორა გვაქვს მსხვილ ნაწლავში და მისი გადამუშავებით, ათვისებით მივიღებთ ყველა იმ ამინომჟავებს, რომლებიც ე. წ. შეუცვლელთა" რიგს განეკუთვნება?

არის მეორე ასპექტიც: თუკი შეუცვლელ ამინომჟავებს ადამიანი ცხოველური ცილების სახით მიიღებს, მაშინ გამოდის, რომ მსხვილ ნაწლავში არსებული მიკროორგანიზმები მას „არ სჭირდება", რასაც მოჰყვება ამ მიკროფლორის შემცირება, გადაგვარება და დისბაქტერიოზი, რაც თავის მხრივ მსხვილი ნაწლავის და მთელი ორგანიზმის სხვადასხვა დაავადებების წარმოშობაში გამოიხატება.

ხორცის მიღების აუცილებლობის საწინააღმდეგო ზემოთმოყვანილი არგუმენტების გაანლიზებით მკითხველი, ალბათ, დარწმუნდება, რომ ხორცით კვება მართლაც არ ყოფილა აუცილებელი ადამიანისათვის. მაგრამ მკითხველს შეძლება გაუჩნდეს ასეთი კითხვებიც:

4. „თუ ხორცი ასეთი მავნეა, მაშინ რატომ ხდება, რომ დასუსტებულ ავადმყოფებს ექიმები უნიშნავენ ხორცის ბულიონს ენერგიის მისაცემად?

ავადმყოფ ადამიანზე ხორცის ბულიონის დანიშვნა წარმოადგენს უდიდეს შეცდომას, გნებავთ დანაშაულს. თქვენ თვითონ განსაზღვრეთ: 100 გ ხორცის ბულიონის გადასამუშავებლად ადამიანმა უნდა დახარჯოს 30-ჯერ მეტი ენერგია, ვიდრე იგვიე მასის ხორცის გადამუშავებას დასჭირდებოდა. ადამიანი ისედაც დასუსტებულია ავადმყოფობით და მისი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს კიდევ ამხელა დატვირთვა სჭირდება? გარდა ამისა, ბავშვის ხორცის ბულიონში გადადის ათასგვარი მავნე ექსტრაქტები, შხამები და ა. შ. ცნობილი ექიმი ნ. სემიონოვა ხორცის ბულიონს „გვამებიდან მიღებულ კონცენტრირებულ გამონაწვლილს" უწოდებს. ჩვენ ვერ ვუარყოფთ, რომ ხორცის თბილი ბულიონის მიღების შემდეგ თითქოს მხნედ, ენერგიულად ვგრძნობთ თავს, მაგრამ ეს ეფექტი მოჩვენებითია. ჩვენ შეგვიძლია დავლიოთ თუნდაც მშიერ კუჭზე ერთი ფინჯანი ყავა და დავიჯეროთ, რომ „ენერგია მოგვემატა", მაგრამ ეს ხომ მცდარია. ხორცის ბულიონი, ისევე, როგორც ყავა, ალკოჰოლი, ნარკოტიკები წარმოადგენენ მხოლოდ ნერვული სისტემის ამგზნებ საშუალებას და არაფერი საერთო არა აქვთ ორგანიზმზე ბიოენერგიის მიწოდებასთან.

5. თუ ხორცის ჭამა მავნეა, მაშინ როგორ გორლა ცხოვრობენ დიდხანს მთებში მცხოვრები აფხაზები, ადიღეები და სხვები, რომლებიც ხშირად მიირთმევენ მწვადებს, ან თუ ხორცი მავნეა, მაშინ როგორლა ცხოვრობს ჩრდილოეთის ხალხი (ესკიმოსები, იაკუტები, ჩუქჩები), რომლებიც ძირითადად ხორცით იკვებება?

აფხაზების, ადიღეების, ჩერქეზების დღეგრძელობა განპირობებულია მათი კვების თავისებურებებით. ჩამოვთვლით რამდენიმე ფაქტორს: 1. ისინი იყენებენ მხოლოდ ახალ ხორცს, რომელსაც ატანენ დიდი რაოდენობით მწვანილს; 2. საფუარიანი პურის ნაცვლად იყენებენ ღომს, მჭადს; 3. მარილის ნაცვლად იყენებენ აჯიკას, სადაც შემავალი წიწაკა იწვევს ლაპიდების, ღვიძლში კი ქოლესტერინის დონის დაწევას; 4. სვამენ მთის მდინარეების წყალს, რომელიც ყინულის დნობის შედეგად წარმოიშობა და მიეკუთვნება ე. წ. „გამდნარ წყალს".

რაც შეეხება ჩრდილოეთის ხალხს, საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების პირობებმა (უხვი ხორცი, ნაკლები ხილი, ბოსტნეული), მათი საჭმლის მომნელებელი სისტემა ისე გარდაქმნა რომ ისინი ხორცისმჭამელი ცხოველების მსგავსად ადვილად ითვისებენ ხორცს, ჩვენ კი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ. გარდა ამისა, ჩრდილოეთის ხალხი საკვებად ხმარობს ე. წ. „ირმის ხავსს" და ზღვის წყალმცენარეებს, რომლებიც მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებით, ფერმენტებით და ამასთანავე სასმელად იყენებს ე. წ. „გამდნარ წყალს".

ბუნების საოცრებაა ტიბეტში ხუნძას დაბლობში მცხოვრები ხალხი, ამ ხალხმა საერთოდ არ იცის რას ნიშნავს დაავადება. ხანძების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 120 წელია! საშუალო სიმაღლე კი 190 სმ!

ხუნძები ვეგეტარიანელები არიან. ხორცს საერთოდ არ ეკარებიან. ზაფხულში იკვებებიან უმი ხილით და ბოსტნეულით; ზამთარში მზეზე გამომშრალი გარგარით და გაღივებული ხორბლით.

აღსანიშნავია, რომ ხუნძები თავიანთი მეზობლებისაგან განსხვავებით ძალზე გვანან ევროპელებს. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ხუნძების პირველი წინაპრები იყვნენ ალექსანდრე მაკედონელის არმიის ჯარისკაცები და ვაჭრები, რომლებიც მდინარე ინდის ხეობაში დასახლდნენ.

რჩევები მათთვის, ვისაც მაინც არ შეუძლიათ ხორცზე უარის თქმა:

1. ახალი ხორცის ნაჭერს, რომელიც ორთქლზეა დამზადებული, დავასხათ ლიმონის წვენი და შევატანოთ 2-3 ულუფა ბოსტნეული და მწვანილი, ორგანიზმის გასატუტიანებლად და მსხვილ ნაწლავში ლპობის აღმოსაფხვრელად.

2. ვერიდოთ ხორცზე პურის მიტანებას.

პური — ნახშირწყალია, მისი მონელება ხდება პირის ღრუში და ნაწლავებში. ხორცი — ცილაა, მისი მონელება ხდება კუჭში, მჟავე გარემოში, სადაც ის ჩერდება 2-4 საათს. როცა ხორცს პურს მივატანთ, პური იძულებულია 2-3 საათი გაჩერდეს კუჭში, მჟავე გარემოში და 37-38 ტემპერატურაზე. ამ პირობებში კი უბრალოდ ლპება.

3. ყოველი ხორციანი საკვები შევკაზმოთ ზირათი.

4. შედარებით ნაკლებად მავნეა ფრინველის ხორცი. ყველაზე მეტად სრულფასოვანია ცილების და მიკროელემენტების მხრივ თეთრი ხორცი.

5. ხორცეულიდან ყველაზე ფასეულია ღორის ქონი, რადგანაც ის წარმოადგენს სისხლის გამატუტიანებელს. ღორის ქონის მიღება რეკომენდირებულია დასუსტებული ადამიანებისათვის და ხანგრძლივი დაავადების შემდეგ.

6. თევზი და თევზის პროდუქტები, თევზის ქონი მდიდარია კალიუმით, ფოსფორით და იოდით.

7. 100 გ თხილი, ნიგოზი სრულიად აკმაყოფილებს ადამიანის ყოველდღიურ მოთხოვნილებას ცილებზე.

8. 100 გ გარგარი ახდენს სისხლწარმოქმნაზე იგივე გავლენას, როგორსაც 250 გ ახალი ღვიძლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის პაპა და ნაძვის ხე საბჭოთა ადამიანის ოცნების ნაყოფია(?!)

ინტერვიუ ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვართან დეკანოზ ვახტანგ ასათიანთან

— ახალ წელს ერიც ზეიმობს და ბერიც. დღესასწაული თანაბრად უხარია ყველას, თუმცა ეს საერო დღესასწაულია თუ საეკლესიო, გაუგებარია...

— პირველი იანვარი — ახალი წელი საერო დღესასწაულია. ეკლესიასაც გააჩნია თავისი ახალი წელი, რომელიც სექტემბერში დგება, თუმცა იმას, რასაც საზოგადოება ზეიმობს, ეკლესიაც აღნიშნავს, მაგრამ არა როგორც საეკლესიო დღესასწაულს.

—თუ ეს ახალი წელი საეროა, მაშინ რა საჭიროა ორი მსგავსი დღესასწაული ერთ თვეში — ძველით ახალი წელი და ახლით ახალი წელი? ერთ სიხარულს ორი გვირჩევნია და ვზეიმობთ და ვზეიმობთ?

—არა, უბრალოდ კათოლიკურმა სამყარომ კალენდარი შეცვალა. თუმცა, ძველი კალენდარი გაცილებით უფრო ზუსტია, ვიდრე ახალი. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კალენდრის არსებობა ძნელი შესაგუებელია. ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში ჯერ ათას სამას რაღაც წელია, ხოლო ბუდისტურ ქვეყნებში ორიათას რაღაც წელი. ჩვენ ევროპის გავლენით ახალ კალენდარზე გადავედით, თუმცა ეკლესია ყველაფერს ძველებურად აღნიშნავს.

— ახალ წელს ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში რთავენ ნაძვის ხეს, ელოდებიან თოვლის პაპას თუ სანტა-კლაუსს...

— საოცარი მოვლენა მოხდა საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა მოქალაქეს წართვეს, დაუმალეს ღმერთი და უთხრეს, რომ იგი არ არსებობდა. მის ნაცვლად ადამიანებმა გამოიგონეს თოვლის პაპა, იდეალური პიროვნება, რომელიც მოდის ახალ წელს, მოაქვს საჩუქრები, სიკეთე და სიხარული. თოვლის პაპა საბჭოთა მოქალაქისთვის ღმერთის იდეალი იყო. იგი თავისი დატვირთვით უფრო დიდია, ვიდრე ევროპული სანტა-კლაუსი —წმინდა ნიკოლოზი.

— არსებობს გადმოცემა, როცა იუდეველთა მეფემ ჩვილი იესოს მოკვლა გადაწყვიტა, ღვთისმშობელი მარიამი და იოსები იუდეადან ეგვიპტეში გაიქცნენ. გზაში მდევარი წამოეწიათ. ერთი დიდი ნაძვის ქვეშ შეაფარეს ლტოლვილებმა თავი. ნაძვმა ტოტები მიწამდე დახარა და დამალა ისინი. მდევრებმა ვერ შენიშნეს ნაძვის ხის ქვეშ დამალული მარიამი და იოსები.

— საეკლესიო გადმოცემით, ამ ხეს ნაძვის ხე კი არა საშობაო ხე ჰქვია. საქართველოში ოდითგანვე ჩიჩილაკი იყო გავრცელებული. ჩიჩილაკს სპეციალური მეთოდით ამზადებდნენ თიხილის ხისგან. არის გადმოცემა, რომ IV საუკუნეში მცხოვრები კაბადოკიელი ქართველის, ჩვენში საკმაოდ პოპულარული წმინდანის — ბასილის საპატივცემულოდ ჩიჩილაკს ბასილის წვერებსაც უწოდებენ. რაც შეეხება საშობაო ხეს, იგი ევროპის ქვეყნებში იყო გავრცელებული.

— ამბობენ, ნაძვის ხე ახალ წლამდე უნდა მოირთოს და ნათლისღებამდე აუცილებლად უნდა მოიშალოს, თორემ ოჯახისთვის უბედურება მოაქვსო.

— რადგან მას არანაირი ეკლესიური და რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია, შესაბამისად არც ნათლისღება არაფერ შუაშია მის დადგმასთან ან აღებასთან. ეს მოსაზრება, ცხადია, მცდარია.

— ახალი წელი ზარ-ზეიმით მოდის და ამასთან ერთად შიშითაც... მეკვლეს ყველა ოჯახი საგულდაგულოდ არჩევს და სჯერა, თუ ის კარგი ფეხისა იქნება, მომავალი წელიც ბედნიერად ჩაივლის. ეკლესია თუ აღიარებს მეკვლის ინსტიტუტის არსებობას?

— ეკლესია არც ამ რიტუალს აღიარებს. არავითარი ბედი და უბედობა არ არსებობს და არც არავის ფეხს არ უკავშირდება. ეს ხალხური ტრადიცია გახლავთ, რომელიც წარმართული რელიგიებიდან მოდის.

მეკვლის არ უნდა გვეშინოდეს, მასზე დამოკიდებული არ უნდა ვიყოთ. შენი ბედნიერება დამოკიდებულია შენს გარჯაზე, იმაზე, თუ როგორ ადიდებ უფალს, როგორ იცხოვრებ. არც ადამიანის, არც ძაღლის ფეხის იმედი არ უნდა გვქონდეს, არამედ ღმერთის.

— ახალი კალენდრით შობა 7 იანვარს ემთხვევა. ახალი წელი — 13 იანვარს. გამოდის, რომ პატრიარქი შობა-ახალ წელს ორჯერ გვილოცავს, ძველი კალენდრითაც და ახლითაც.

—მე საუბრის დასაწყისშიც გითხარით, იმ სიხარულს, რაც ერსა და ხალხს გააჩნია, ეკლესიაც უერთდება. პატრიარქი ყოველდღე გვლოცავს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ. გვილოცავს და გვლოცავს, რომ საერო დღესასწაულიც ბედნიერი იყოს ერისა და ქვეყნისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ!

ნონა ანსიანი
ნათია ზედგენიძე

წმინდა ნიკოლოზი სამარხო დღეებში ძუძუსაც არ წოვდა

ინტერვიუ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოღვაწართან, დეკანოზ ღვთისო შალიკაშვილთან

— მამა ღვთისო, 28 ნოემბრიდან ქრისტიანული კალენდრის მიხედვით მარხვა დაიწყო. ცნობილია, რომ მარხვა ქრისტიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და წელიწადში, დაახლოებით, ექვს თვეს გრძელდება. რას ნიშნავს მარხვა და რატომ არის აუცილებელი მორწმუნეთათვის მისი დაცვა?

— ადამიანი სუსტია და ცოდვისკენ მიდრეკილი. მას ნებისყოფის გამომუშავება სჭირდება. რაც უფრო ჩავუკვირდებით მარხვის არსს, მით უფრო მეტს გავიგებთ. ადამის და ევას შეცოდება სამოთხეში სწორედ მარხვის დარღვევა გახლდათ. ღმერთმა მათ შემეცნების ხის ნაყოფის ჭამა აუკრძალა, ადამმა და ევამ კი არ დაიცვეს, შედეგი ყველამ ვიცით. მარხვა არის საწყისი გზისკენ დაბრუნება, რომ ნელ-ნელა დიდი საქმეების კეთება შევძლოთ. მარხვა დიეტას არ ნიშნავს. იგი სინანულს, ცოდვისგან თავშეკავებას, გულმოდგინე ლოცვას გულისხმობს. ენას ლაგამი უნდა ამოსდო. უნდა შეიყვარო ის, ვინც გუშინ გძულდა. გული უნდა განიწმინდოს ყოველგვარი ბოროტებისაგან. მარხვის დროს ადამიანი უფრო მეტად უახლოვდება უფალს.

— როგორი უნდა იყოს მარხული ადამიანის კვების რაციონი. რა იჭმება მარხვაში, რა არა?

— მცენარეულ ზეთებზე დამზადებული მცენარეული წარმოშობის ყველა საჭმელი იჭმება. არასამარხოა და არ უნდა მივიღოთ ხორცი, რძის ნაწარმი და კვერცხი.

— ზოგჯერ ადამიანს ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ უწყობს და ვერ მარხულობს...

— როცა პრობლემები გვაქვს, უფლის სიტყვები უნდა გავიხსენოთ, ცოდვისთვის გსჯითო. ჩვენ რომ თავის დროზე ვიმარხულოთ, ვილოცოთ, აღსარება ვთქვათ და ვეზიაროთ, ჯანმრთელობის თვალსაზრისით პრობლემები არ გვექნება. მარხვის შენახვა ყველასათვის აუცილებელია, რადგან უცოდველი ამ ქვეყნად არავინ შობილა. სამწუხაროდ, მარხვას ყველა ისე აღიქვამს, როგორც შიმშილს. თუ ექიმი ავადმყოფს დიეტას უნიშნავს, ისინი იცავენ დიეტას. თუ მღვდელი ამბობს, მარხვა შეინახეთო, „გამოსავალს“ ეძებენ... ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს მოძღვარი. თუ ორგანიზმისთვის დამღუპველია მარხვის შენახვა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მისი მოძღვარი მიიღებს...

— თუ ადამიანი ნებით ან უნებლიეთ დაარღვევს მარხვას, გაგრძელება შეიძლება?

— რა თქმა უნდა, არ უნდა შეწყვიტოს. მარხვის დარღვევისგან დაცული არავინ არის. თუ ერთხელ შევცდით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად უნდა გადავვარდეთ ცოდვაში. თუ შეგეშლება, განაგრძობ და მოინანიებ აღსარების დროს, რაც დაარღვიე ნებით თუ უნებლიეთ და მოგეტევება.

— თუ მორწმუნე ადამიანი ლოცვებს კითხულობს, ეკლესიაში დადის, ათ მცნებას იცავს, მარხვას — ვერა, ცოდება?

— თუ მცირეში არ ხარ მართალი, დიდშიც ვერ იქნები. ადამიანი მარხვის და ლოცვის გარეშე ვერ ეზიარება. ვინც არ ეზიარება, ის უფალთან ვერ მივა. ყველა დიდი საქმე მცირედიდან იწყება. თავიდან მძიმეა მარხვის დაწყება, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა ჭირს. მერწმუნეთ, ადამიანის ჯანმრთელობისთვის გაცილებით უმჯობესია საპარხო საჭმლის მიღება, ვიდრე სახსნილოსი და თანაც ძალზე ადვილია.

ზიარებამდე სხეულის გაწმენდა-გასუფთავება აუცილებელია, რათა ზიარების შემდეგ მოვიდეს სულიწმინდის მადლი.

— მშობელმა რამდენი წლიდან უნდა ამარხულოს შვილი?

— გააჩნია, ვინ გვინდა გახდეს ჩვენი შვილი: კარგი, პატიოსანი ადამიანი თუ... რაც ადრე შეეჩვევა მარხვას, მით უმჯობესია. წმინდა ნიკოლოზი სამარხო დღეებში ძუძუსაც არ წოვდა. ნიადაგი უკვე მომზადებული ჰქონდა და იმიტომ დაიმკვიდრა მასში სულიწმინდამ. ვინც არაფერს იცავს, მადლს როგორ მიიღებს? ჭეშმარიტი ქართველი, ქრისტიანი ადამიანი რწმენით, სიკეთით, უფლის სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული. მე მგონია, რომ ვიდრე ქრისტეს რჯული შემოვიდოდა საქართველოში, ვიდრე გაქრისტიანდებოდა, თავისი მიმტევებლობით, სიყვარულის ნიჭით, სულიერი სისუფთავით მანამდეც უფლის სამსახურში იყო ქართველი კაცი. დღეს მით უფრო მეტი მოგვეთხოვება.

— დაგვლოცეთ, მამაო...

— ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს სრულიად საქართველო. ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ უფალმა.

თეა არსენიძე

მთავარი რედაქტორი
მანანა ლოგჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.